



საპოლიტიკო სამეცნიერო და სალიტერატურო ნახაზებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს


№ 30

ივლისი 23 1900

№ 30

გაზეთის ფასი: ერთი წლით გაუგზავ. 7 მან., გაგზავნით 8 მან. ნახევარი წლით გაუგზ. 3 მან. 50 კაპ., გაგზ. 4 მან. სამი თვით გაუგზ. 2 მან., გაგზ. 2 მან. 50 კაპ., თითო ნომერი სამ შაურათ.

ხელის-მოწერა ქაიღება: თფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში“ (Дворцовая, д. зем. банка № 101) და თვით „ქვალის“ რედაქციაში არტილერიის ქუჩა, № 5. ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакция „**ქვალი**“.




ილია ლუქას-ძე ბახტაძე (ხონელი)

ნეკროლოგი

† ილია ლუქას-ძე ბახტაძე (ხონელი)

ჭერ კიდევ მძიმე დღეებში იყო გახვეული ქართველი საზოგადოება, რომ სამსხვერპლოზე მეორე ზვარაკი დაიკლა; ჯერ კიდევ ჰაერში ტრიალებდა ქართველთ გულიდან ამონაკენესი, რომ სამშობლო მიდამო სამგლოვიარო ხმით მოიცო; ჯერ კიდევ იანვარში მოვლენილ უბედურებით თავ-ზარ დაცემულები გონს ვერ მოვსულიყავით და დანაკარგი სავსებით ვერც კი აგვეწონ-დაგვეწონა, რომ თავს ახალი უბედურება დაგვატყდა, მოულოდნელი ამბავი გვემცნო—ილია ხონელმა სამუდამოთ გულხელი დაიკრიფაო. ასეთი ამბავი მოგვეტანა სოხუმიდან დეპეშამ. შეგნებული თფილისი შეძრწუნდა და გულ-საკლავი კვნესა აღმოხდა გულიდან, მას ხმა მისცა დანარჩენმა ქალაქ-დაბა-სოფლებმა და საერთო მწუხარება გამეფდა. დიდაც რო სავალალო აქვთ! დიახ საბუთიანია მათი გლოვა-ტირილი! ამ ჩვენ უკუღმართ დროში, როცა მწერლის სიავკარგე მისი „უწყინაობით“ იზომება, როცა სი-



მართლეს ცეცხლითა და მახვილით დევნიან და პირში ბუროს გზიან; როცა ერთ ორ „ყენს“, მალე პიადესტალზე წამოასკუბებულთ მათი „ნაზირ-ვეზირნი“ საკმელს უკმევენ, და ვაი იმათ, ვინც მათ საერთო ფერხულში არ ჩაებმება, ვისაც თავისი განსაკუთრებული აზრი ექნება, ამ უკუღმართ ღროს ილია ხონელისებური პირები ცის მანანასავით მოველინებიან ხოლმე ჩვენ დუხჭირ ცხოკრებას. ვისთან ჰქონდა საქმე ილიას, ვის ებრძოდა, ან რას ემსახურებოდა გინდა გაიგო, მკითხველო? წარმოიდგინე ერთი დიდი ტბა, რომელსაც არსაით ვასავალი არ აქვს—შეგუბებულია და დგას; დგას თვეობით, წლობით. ჟამთა მსვლელობის გამო ტბას ლეყებო მოჰკიდებია, ამყარებულა, ჭიამატლი დასევია, ბაყაყთა და გველთა ბუდეთ გამხდარა და აი ეს მილიარდი ქვემძრომთა ფუსფუსებს, მრავლდება და ხარობს. ტბა თავის სტუმართ ჭიამატლთ ამყარლებს, და ესენი კიდევ ტბას ამყარლებენ; ორივენი კი ერთათ ყველას და ყველაფერს წაბილწვას უქადიან.

აი ტბას ვილაც მიუახლოვდა და საცდელათ ჯერ კენჭი გადისროლა; ტბა ოდნავ შეირხა და შიგ დაბუდებულებმა მწარე სისინი შექნეს. უცნობი არ ეშკება და მეორეთ და მესამეთ უფრო მოზრდილ ქვას. გადისვრის შიგ შუა გულში. დადგა ყალხზე მთელი გველ-მატლ-ჭია-ბაყაყთ სამეფო; ტბა ღონივრათ შეინძრა და აუარებელი ლორწო-ლეყებო ამოხეთქა გულიდან და თავზე მოიტივტივა—იქნება ვერ ჩამოწვდეს ეს მაცდური ჩემამდისო. მაგრამ სასტიკი სტუმარი თავისას არ იშლის—ის ხან ერთ მხარეს მოუვლის და დიდ ლოდს გადაისვრის შიგ და ხან მეორეს და თან დაჰქვივის: ნუ შხამავთ ჰაერს, ნუ ამყარლებთ ცხოვრებასო! ეს სტუმარი ილია ხონელია. ის რუსეთის სუსხიან ჩრდილოეთიდან გვესტუმრა, როცა სწავლა-ცოდნას მოწყურებულმა დიდ გაჭირვებაში ორი წელი გაატარა. აუტანელმა ჯაფა-წვალებამ და ძაღლ-უმადურმა ცხოვრებამ, სანახევროთ მშიერ-მწყურვალობამ და შიშველ-ტიტვლობამ მართალია მოტეხა და მოადუნა ის ფიზიკურათ, მაგრამ გააკაჟა და გაასალკლდევა სულიერათ, გაუღვივა გულში იმედი უკეთესი მომავლისა. მეორე მხრით მესამოცე და მესამოცე-ათე წ.წ. რუსეთის საუკეთესო მწერალთა გაცნობამ ათასი კითხვები აღძრა მის მკვირცხლ გონებაში, მებრძოლი სული შთაჰბერა და სამოქმედოთ მომართა.

წავალ ჩემ მშობელ მხარეში და იქ შევალევ თავს ბორბტება—ძალ მომრეობას, იქ ვიმოღვაწეებ უმრავლესობის საკეთილდღეოთ, სიმართლის აღსადგენათ, სინათლის მოსაფენათ—იფიქრა ილი-

კომ და თავის მხარეს მიეხმატკბილა, აქ მას ის აყროლებული ტბა დახვდა, და მასთან ბრძოლაში დალია სული... და მერე რა მალე! სულ 10—15 წლის განმავლობაში! მან ერთბაშათ და უცებ დასწვა მთელი თავისი ენერგია! ადვილი ასახსნელიც არის, მისი ნერვები მეტათ მგრძნობიარე იყო, მისი რწმენა მეტათ ღრმა და შეურყვევლი, კომპრომისები მისთვის არ არსებობდა, და როცა წერდა, წერდა მთელი თავისი არსებობით, თავის სულსა და გულს შიგ აქსოვდა. მას ვერ აეტანა დღევანდელი ჩვენი ფუქსავატობა, კერბთა გაღმერთება და ამხედრდებოდა ხოლმე ამის წინააღმდეგ, ამხედრდებოდა ისეთი სასტიკი სარკაზმით, რომ ჟრუანტელი გივლიდათ ტანში. ბევრი მისი წერალები საუცხოვო სატირას წარმოადგენენ. მისი პირდაპირობა, მჭრელი, სუსხიანი ენა, ლიტერატურული სიფაქიზე, აი რა ხიბლავდა მტერსაც და მოყვარესაც.

მტერი კი აუარებელი ჰყავდა; ნუ გაგიკვირდებათ! აკი მოგახსენეთ, ტბაში აუარებელი ჭიამატლი დაცოცავდა მეთქი, და აი ეს ლეგიონი ამხედრდა ილიას წინააღმდეგ და ვინ იცის რა ზომებს არ მიმართა, მოკვლასაც კი უპირებდენ, უსახლო და ლანძღვით სავსე წერილებს ხომ საზღვარი არა ჰქონდა. „ბოსელში ისე ვერ შეხვალ ავი სუნი არ გეცესო“, მოჰყავდა თავის სანუგეშოთ ილიას ხალხის ბრძული ანდაზა და თავის გზას მედგრათ ადგა.

ბევრს ერთი რამ უკვირთ ილიას ცხოვრებაში, ის დიდხანს ვერსად ვერ ძლებდა, ერთი რედაქციიდან მეორეში გადადიოდა, ქართული გაზეთიდან რუსულს შეეკედრებოდა და რუსულიდან ქართულს.

1886 წ. „ივერიაში“ ვხედავთ, ცოტა უფრო წინ „კავკაზში“ იღებს მხურვალე მონაწილეობას; მერე „ახ. მი.“ გადადის, შემდეგ „მომბემში“ ვხედავთ, ამასაც თავს ანებებს და „Т. II.“ თანამშრომლობს და ასე დაუსრულებლივ. ბევრი ამას თავისებურათ ხსნის, ჩვენ კი სწორეთ ამ დაუღვრომლობაში ვხედავთ მთელ მის სულიერ ძალას, ბალიალობის უარის ყოფას. როგორც კი შეამჩნევს ილია, რომ მის აზრთა თავისუფლებას განსაზღვრულ ჩარჩოებში უპირებენ მოქცევას, მის წმიდა მისწრაფებათა ფრთათა შეკვეცას ლამობენ; იგრძნობს თუ არა რედაქციის ანგარიშიანი ხელი მის გულში ფათურს დაიწყებს, ის მაშინვე იკრავს ბარგი-ბარხანას და მეორეს ეკედლება, და თუ იქაც რამე შეამჩნია, გადადის მესამეში და ასე ბოლომდის. ასე დაძრწის ის ობოლი სულივით და ვერსად მოსვენება ვერ უპოვია, ვერავის შეთვისებია იმიტომ რომ ნებას არავის აძლევს მისი წმიდათა-წმიდა შელახოს. საკვირველია, რომ ილია რუსულ გაზე-

თებს უფრო დიდხანს შერჩა, ვინემ ჩვენსას. „ივე-რიაში“, მაგალითათ სულ 8 თვეს მუშაობდა (1886 წ.) „მოამბეში“ — 2; ალბათ პირველში უფრო თავისუფლათ შეეძლო ეწერა ჩვენ ავ-კარგზე, ვინემ მეორეში. აი რას წერდა ის მაგალითათ 1894 წ. „მოამბეში“. ვიმეორებ, ასე თუ ისე განხედ ვავუდექ ქართულ მწერლობას მეთქი. მიხეზი ის განლავს, რომ არც ვეზირობისათვის ვარ დაბადებული და არც ყმობისთვის და ორივე ეს ხელობა ერთნაირათ არ მომწონს... ესლა მგონი „მოამბის“ რედაქცია თავშესაფრათ შემექნა. თუ არ ვცდები, და ეს იმედი გამართლდა, ჩემს მომთაბარეობას და აქა-იქ წოწილს ბოლო მოეღო. რასაკვირველია იქაც სახიფათო საქმეა. ჩემი ბინადრობა მხოლოდ მანამდის არის მტკიცე, სანამ თავისუფლება ჩემ ხელთ მექნება. თუ კი ავდარმა მაინც არ დამინდო და რედაქციულმა თოვლქყაპმა ჩემ ნაპოვნ ჭერ ქვემ ჩამოატანა, ვერავინ ვერ დამიშლის რომ ავიკრიბო ჩემი ბარგი ბარხანა და საითაც მინდა იქით ვავემგზავრო... ილიას აუხდა წინეთ გრძობა, ის მესამე თვეში მოშორდა „მოამბეს“ და დღეს კი სამუდამოთ მთელ თავის საყვარელ მხარეს, რომლის ხსოვნაში ილია ხონელიც, სხვა მოღვაწეთა შორის, საპატიო ადგილს დაიჭერს.

უკანასკნელათ ვეამბორებით უნ დადუნებულ ბაგეს, საყვარელო ილია! და განხარებთ, რომ ჩვენ-შიაც ჰყავს დამფასებელი უანგარო მოღვაწეს.

გ. წულუჭიძე.

მომავალი კრება ქუთაისში.

ოვლისის 26 ქუთაისში დანიშნულია შავი-ქვის მრეწველთა კრება. „მრეწველთა კრება ქუთაისში!“ რალაც სხვანაირათ, უცხოთ ესმის ყურს; ეს ჩვენთვის არა-ჩვეულებრივი კრებაა. სათავად-აზნაურთა კრება, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კრება, სხვა-და-სხვა ბანკების კრებები, ქალაქის არჩევნების კრება, — ყველა ამას ჩვენ შევეჩვიეთ, ჩვენთვის ეს თითქმის მოძველებულია. მრეწველობის კრება და ისიც პატრიაქალურ ქალაქ ქუთაისში! სწორეთ რომ სულ სხვა ახალი რამ არის და ამას კარგი მოვლა და პატრონობა ეჭირვება. ამ კრებისათვის საჭიროა მომზადება, საჭიროა — წევრებმა იცოდნენ რა კითხვები გაირჩევა ამ კრებაზე და როგორ უნდა უპასუხონ მას.

თავად-აზნაურთა კრებაზე ლაპარაკია თავად-აზნაურთა უფლებებზე, კანონიერ ცენზე, უკანასკნელის აწევ-დაწევზე, ამ კრებაზე ბრძოლა უფრო

ვანყენებულია, უფრო იდეური... სულ სხვაა მრეწველთა კრება. აქ ტრიალებს ინტერესი, მერე ინტერესი სიტყვიერი კი არა, უფერული, უგემური, უსისხლ-ხორცო, ცარიელი; არა, ინტერესი ცხოველი, ხილული, რომელიც თავის-თავს ულაპარაკოთაც გაგრძობინებს და პირდაპირ შემოგეჯახება და, თუ მომზადებული არა ხარ შესახვედრათ, ციბრუტივით შემოგატრიალებს. ამ კრებაზე გასარჩევი კითხვები სამკედრო-სასიცოცხლოა. მიპასუხე, თორემ გადაგყლაპამო — ეუბნევა მრეწველს გასარჩევი კითხვა, და მრეწველიც იძულებულია გაარჩიოს იგი, ეცადოს კარგათ უპასუხოს; ის იცავს თავის ინტერესებს და მომავლისათვის გზას იკაფავს. ის იბრძვის და უბრძოლველათ ერთ ფინჩხასაც არავის არაფერს არ დაუთმობს. ამისთვის ამგვარი კრებები ყოველთვის და ყოველგან მეტათ საინტერესოა და წევრებიც მომზადებული არიან. ჩვენი მრეწველებიც ემზადებიან მომავალი კრებისთვის.

მეტი არ იქნება, რომ მკითხველებს მოკლეთ გავაცნო: ვინ არიან ეს მრეწველები და ან როგორ მრეწველობენ.

ქიათურაში მრეწველები ორ ჯგუფათ არიან დაყოფილი: 1) მსხვილი მრეწველი, რომლის უმრავლესობას უცხოელნი შეადგენენ, ამ მსხვილებში აქა-იქ თავი ამოუყვით ჩვენებურებსაც; უკანასკნელებში დიდი ადგილი უქირავთ ქუთათურ ინტელიგენტებს.

2) წვრილი მწარმოებელი. ამას არც ფული აქვს, არც კრედიტი. ამათ თვით მადნებში აქვსთ პატარ-პატარა ადგილები და თვითონ ამუშავენ მადნებს, რასაკვირველია, მუშების დახმარებით; ის თვით მშრომელია. პირველს აქვს პლატფორმები (მადნიდან ამოღებული შავი-ქვის საწყობი ადგილები შიგ ქიათურაში), — მეორეს არა აქვს. პირველს შეუძლია შავი-ქვა ფოთში გაიტანოს და იქ გაპყიდოს, ან და თვით პირდაპირ საზღვარ-გარეთ გაგზავნოს, მეორე კი იძულებულია, რადგან საკუთარი პლატფორმები არ აქვს, თავისი ნაწარმოები პირველს მიჰყიდოს, რასაკვირველია, იმ ფასში, რა ფასშიც პირველი მოისურვებს. ამისათვის, როდესაც პირველს შეუძლია მოიგოს ფუთზე 4—5 კაპეიკი, მეორე ერთი კაპეიკითაც კმაყოფილდება.

ეს ორი მრეწველი ერთათ არიან შეერთებული და ამ შეერთებას ჰქვია: **СЪѢЗДЪ марганцепромышленниковъ**; ამ „სიეზდს“ რასაკვირველია, მუდმივი მმართველი უნდა, და ამას წარმოადგენენ **СОВѢТЬ СЪѢЗДА**; მისივე ატტრიბუტებით: თავმჯდომარე, რომელსაც გაკვრით ვიტყვი, „გვარნი“ ჯამაგირი აქვს და მდივანი. სარევიზიო კომისიას კრება ირჩევს. წინეთ მომხდარ კრებაზე იყო ამორ-


საქართველო

ჩეული სარევიზიო კომისია, რომელსაც მომავალი კრებისათვის ანგარიში უნდა წარმოედგინა.

რალა თქმა უნდა, რომ პაწაწკინა მრეწველები არ არიან კმაყოფილი თავისი ბედის; დანიშნეს კრებები პატარა კაცებმა, კრება ზე „ქონდრის კაცებმა“ ილაპარაკეს, რომ საჭიროა საერთო კრებისთვის სარევიზიო კომისიამ თავის მოხსენება წარმოედგინოსო, მაგრამ ესეც კი ჰქონდათ გაგებულები, რომ სარევიზიო კომისიას არაფერი არ „ურევიზიებია“ და ამისათვის მოხსენებასაც ვერ წაიკითხავდა; ამაში თუ დარწმუნებული არ იყვენ, ეჭვი მაინც ჰქონდათ აღძრული... მეორე დღეს მეორე კრება დაინიშნა. აქ უნდა წაკითხულიყო მშრომელ-მწარმოებლების წერილი რჩევის მიმართ, რომ იგინი იხონვენ—სარევიზიო კომისიის მოხსენება უთუოთ მზათ იყოს საერთო კრებისთვისო...

რუსები ამბობენ: „**Всякій иностранецъ — Нѣмецъ**“. ვნახოთ—რას გვეტყვის 26 ივლისის კრება.

იკა



სხვა-და-სხვა ამბები

წვენი მივიღეთ ყვირილიდან შემდეგი ტელეგრამა: „დიდათ შეგვაწუხა ყვირილის ახალგაზღვრება ნიქიერ პუბლიცისტის ილია ლუკას-ძის ბახტაძის უდროვით გარდაცვალებამ. მისი მწერლობის დეაფლი სამუდამოთ დაუვიწყარია ჩვენ გულში“. სამძიმრის ტელეგრამები მოსვლია „ივერიასაც“ პარიჯის მოსწავლე ქართველობისაგან და განჯელ ქართველებისაგან.

ილია ბახტაძის სულის მოსახსენებლათ გარდახდილი იყო პანაშვიდი 19 ივლისს ქართველი საზოგადოებისაგან. 20 ივლისს „ტფილისის ლისტოკის“-აგან და დღეს ქართველი ხელოვნებეც გადაიხდიან პანაშვილს ქვაშვეთის ეკლესიაში.

ორშაბათს, 17 ივლისს, მოხდა კრება ტფილისის ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელთა, ასოთ-ამწყობთ საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოების წესდების პროექტის განსახილველათ. წესდება შედგენილია სარატოვის და პეტერბურგის ასოთ-ამწყობთა საზოგადოების წესდების მიხედვით. ჩვენი აზრით საჭიროა იყო, რომ ახლავე ზოგიერთი შეგნებული ასოთ-ამწყობნიც მოეწვიათ ამ კრებაზე (ურთიგო არ იქნებოდა თვით ამ პროექტის შედგენის კომისიაშიაც), რომ მათ გულმხურვალე

მონაწილეობა მიეღოთ. საურთიერთო საქმე-მხროველთათ მათინ მოიკიდებს ფეხს და ხანგრძლივი იქნება მისი არსებობა, როდესაც თითონ წევრები ჩადგებიან სათავეში და იგრძნობენ მის სარგებლობას, თორემ შვენიერი პროექტების წერა უფრო ადვილია, ვიდრე მისი განხორციელება.

მოსკოვში გარდაიცვალა ცნობილი პუბლიცისტი გრ. ჯანშიევი. განსვენებულის ნიქიერ კალამს ჩვენშიაც ბევრი პატივის მცემელი ჰყავდა.

ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორათ დაუნიშნავთ ალექსი ბესარიონის ძე ჰინაძე, რომელიც კავკავში სახალხო სკოლების ინსპექტორათ იყო. ვინც იცის ქუთაისის სათ. აზ. სკოლის მოსწავლეების მატერიალური მდგომარეობა, რომ იგინი თითქმის ქუჩაში იკვებებიან და ამის გამო მათში სრული უზნეობა და უდისციპლინობაა გამეფებული და მათ წესრიგში ჩასაყენებლათ საჭიროა დიდი ენერგია, სწორეთ რომ მადლობის ღირსია ალ. ჰინაძე რომ ასე თავ განწირვით იკისრა ამისთანა მძიმე თანამდებობა.

ამ ჟამათ ტფილისის სამ მაზრაში გავრცელებულია საქონლის ქირი, სახელდობრ: ტფილისის გორის და ბორჩალოს მაზრაში.

ქალაქის კასაში შემოსულია ამ წლის პირველიდან 9 ივლისამდე: 1) სახლებისა და მამულეების გადასახადი 207,315 მ. 81 კ. (1900 წლის ხარჯთ აღრიცხვით წელს უნდა შემოვიდეს სულ — 495,579), შარშან კი იმავე დროს განმავლობაში შემოსულა — 148,874 მ. 82 კ.; 2) საყასპოდან — 28,180 მ. 22 კ.; 3) ცხენების გადასახადი — 30,113 მ. 48 კ. 4) ტრახტირის გადასახადი — 22,974 მ. 94 კ.; 5) ქალაქის მოედნებისაგან — 9,741 მ. 11 კ. 6) ვერის ხიდის შემოსავალი — 9,931 მ. 25 კ. 7) მნაკანოვის ხიდის — 3,336 მ. 64 კ. 8) ქალაქის ადგილებიდან — 8,690 მ. 89 კ.; 9) ქალაქის სასწორებიდან — 8728 მ. 79 კ. ჯარიმა გადასახადის შემოუტანლობისათვის — 8238 მ. 16 კ. და სხვა.

სად. სუფსიდან მივიღეთ შემდეგი წერილი: რადგან აქ ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება არ არსებობს, ყველა წერილებს და კორესპონდენციებს ღებულობს სადგურის უფროსი ბ-ნი ან-ვი. და, როგორც სხვა ამისთანა სადგურებზე, წერილის მიმღებს ახდევინებს თითო წერილზე სამ-სამ კაპიკს. მაგრამ სამწუხარო ეს არის, რომ წერილის თავის დროზე მიღება არ შეგიძლიათ სამი კაპიკის მაგიერ

რომ სამი აბაზიცი გადიხადლო. რისთვის იღებენ ამ წერილებზე სამ კაპიკს თუ ლონისძიება არ გვექნება, რომ წერილები თავ-თავის დროზე მავილოთ? ნუ თუ არავინ ჰყავს სადგურის უფროს ისეთი ხელქვეითი რომ ეს სამსახური მიანდოს?!

„კვალის“ კორესპონდენცია

ბათუმი. მიუხედავად იმისა, რომ ქ. ბათუმი, მრეწველობა-წარმოების და მოზარდ თაობათა აღსაზრდელ საშუალებების მხრივ იზრდება-ფართოვდება და მით კულტურულ კუთხეს ემსგავსება; თვით ჩვენ, მოზარდი ბათუმელები, მანინა და მანინ გურაფერ დიდ უნარს ვიხივთ საზოგადო წინმსწავლობაში, თუ მსგავსებაში არ მივიღებთ გარეგნულ გაჯერებულებას და წარა-მარა ლამაზ ფრაზების აღმოტყობნას, ნამეტურ იქ სიღატაკი საქმეს არ თხოვლობს; წინააღმდეგ შემთხვევაში ძლიერ თავდატყობილი ვართ, თითქმის ჩვენი თავი, ჩვენ არ გვეკუთვნოდეს, რომ ჩვენი აზრის ტარება და გამოთქმა-გამოქვეყნება, ჩვენვე შეგვიძლოს... რასაკვირველია, როგორც უფრო სხვა მოვლენას აღმაშინებთ ცხოვრებაში, ზემოთ ხსენებულ ჩვეულებასაც თავისი სიღატაკი მიზეზები აქვს. ნათესავურ-შეგობრული, და მოვლენა—პროტექციონური. ამ გვარ კავშირით დამკვიდრებულთ, ერთი მხრის სება დაურთველათ რომ არაფრის თქმა და გაკეთება შეუძლოთ, რა გასაკვირველია. თუ ამ სენს მივუმატებთ, იმ პროვინციალურ პარტიობა-პატრიოტობას, რაც განხორციელებულია აქაურ ვითომდა მოწინავეთა შორის, საიდანაც ხელ-ხელა დგომება მათან დაშკადებულთა, და ამ დამკვიდრებულთა ხანობებში, მათი სრული წარმოდგენა გვექნება, თუ რა რაღას უნდა თამაშობდეს აქ რომელიმე მეთაური, და თუ რატომ ფერხდება აქ უფრო საზოგადო საქმე. მართალია, მსოფლიო ისტორიაში პირადობას დიდი მნიშვნელობა არ აქვს—ამბობს ბ. კირსანოვი; — მარა ასეთ პროვინციალურ ქაღალში კი, როგორც ბათუმშია, დიდი მნიშვნელობა აქვს... გარეგნულმა გაჯერებულებამ, ძვალ-რბილში გამჯდარ პატრიარქალურ ზნე-ჩვეულებას ვერ ძლია, და უკანასკნელმა უფროს თაგის „შე“ დადებულათ გაიტანა.

აქაურ უსაქმურობაზე ჩივილით, რომ შკითხვებზე არ შევაწუხო, ამისთვის, ჩვენ აქ ჯერ-ჯერობით ერთ სიმბატურ დაწესებულებაზე შევჩერდებით.

როგორც იყო, ბათუმში, სახალხო ბიბლიოთეკა—სამკითხველზე ლაზარაჟმა თავისი გაიტანა, დიდი ხნის მოლოდინი ბათუმელთ აუსრულდათ და მიეცათ ფორმალური უფლება, რომ ბიბლიოთეკა—სამკითხველთა დაეარსებიათ; ამ გვარი უფლება ე. ი. ნება-რთვა, მოუვიდა მ. კ. მხეიძისას გასული წლის აპრილის რიცხვებ

ში. მის შემდეგ კარგა ხანმა განვლო—მარა ბიბლიოთეკა - სამკითხველთა განსხვავებას—დაარსებაზე ხანის ხმას არ იღებდა და დიდ ხანსაც ვიქნებოდით ასეთ ფაფაში, რომ ბ. კ. მხეიძის არ დაეწყოთ შეამდგომლობა მთავრობასთან „კომერციული-ბიბლიოთეკის“ ნება-რთვაზე, სიღატაკი სარგებლობა მართკომერსანტებს და წვერთ შექდლოთ, დიდი უშეტესობა მანინ მშრალზე რჩებოდა. სამკითხველთა დასარსებლათ მოწვეულ კრებაზე არა ნაქრებიც დაესწრენ. ბევრი მითქმა-მითქმის შემდეგ საქმეს უფრო რთული სასიათი მისცეს და „კომერციული-ბიბლიოთეკის“ მაგივრათ სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველთა დაარსება დაეწყებინეს. შემდეგ, კიდევ ერთი კრება მოხდინეს და კომიტეტის წევრებიც აირჩიეს.

ბათუმში, რომ არც არც არის ბიბლიოთეკა - სამკითხველთა დაარსება, ეს იქიდან ჩანს რომ 19 აპრილიდან 1 ივლისამდე=9340 შკითხველი ჰყოლია სამკითხველთა; თუმცა ერთ ჯგუფს ბათუმელ ინტელიგენციისას, კიდევ ნაადრევათ მანინათ აქ სამკითხველთა დაარსება. შეიძლება, მათი ფუხის მოსამაგრებლათ, მართლაც ნაადრევი იყოს აღმინის გონების განვითარება!

ასე და ამ გვარ ნადავზე განისხნა აქ სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველთა, თუ კი შეიძლება განსხილ-დაარსებულთ ვუწოდოთ უწიგნო სამკითხველთა, რადგან წიგნები არ განსვათ ჯერ და მოგონი დიდ ხანსაც არ ვეძებება ჩვენს სასახელათ. მხოლოდ შკითხველებმა კი თავისი სურვილი მართკ განხეთებით უნდა დაიკმაყოფილონ. არ შეიძლება, რომ ეველა ბრალი სულ კომიტეტის წევრებს მოვახიოთ თავზე, მართალია, როგორც მოსალოდნელი იყო, ისე ნდობა არ გაუმართლებიათ, მარა საზოგადოებასაც რომ დამარება აღმოეჩინა მკ. თეატრში წარმოდგენებზე დასწრებით (როცა ბიბლიოთეკის სასარგებლოთ იყო გამართული); წვერათ ჩაწერით და ამ გვარებით, ეჭვი არ არის ისინიც გამხეველებად, მარა, მარა ის რომ...

უარყოფილი.

ჩინეთის ამბები

ჩინეთის ომის შესახებ უკანასკნელი ტელეგრაფმა გვაუწყებს შემდეგს: ურგალი. ელჩი იტყობინება, რომ ჩინელებმა კალგანში დაწვეს რუსების სახლკარი და ეკლესია; ქონება ზოგი დაწვეს და ზოგიც მოიტაცეს. გენერალი გროდეკოვი ბლაგოვე-შინსკიდან იუწყება 18 ივლისს: ღამით ზოგიერთი ჯარის-კაცნი თავის სურვილით გადავიდნ ჩინეთის

საზღვრებზე და იერიში ისე მიიტანეს რომ თოფის სროლა არა ჰქონიათ. ჯარის კაცებმა ჩინელებს წაართვეს ორი წორს-მსროლელი ფოლადის ზარბაზანი, რომლებიც ჩვენკენ გადმოიტანეს. 15 ივლისს გენერალმა რენენკაფმა განდევნა სოფ. მოხოდან ჩინელები და შიგ ჩააყენა პატარა რაზმი, რომ დაიცვან გემების წესიერი მიმოსვლა. 16 ივლისს ბლაგოგვეშჩინსკში მოვიდა პირველი მეშველი ჯარი. ვაშინგტონი. ამერიკელმა ელჩმა ჩოეტმა შეატყობინა სოლისბერის, რომ შეერთებულმა შტატებმა გარდაწყვიტეს დაუყოვნებლივ გაილაშქრონ პეკინზე. სოლისბერიმ უპასუხა, რომ ასეთსავე გადაწყვეტილებას დაადგა ინგლისიცო. ტიან-ძინი. გენარალი გეზლი 15 ივლისს მოვიდა, მოვიდა აგრეთვე ძლიერი მაშველი ჯარი. გალაშქრება დაუყოვნებლივ დაიწყება. რუსეთისა და იაპონიის ჯარმა წინ-წაიწია პეიზანამდის. შანჭაი. შანდუნის გუბერნატორმა დეპეშითაცნობა იქაურ ინგლისის უფროს ელჩს, რომ მისი წერილი გადაეცა მაკდონალდს. მაკდონალდის პასუხი კი გადაეცა ცუნგ-ლი-იამენს ელჩის ვასაგზავნათ.

ახალი გზა

(„ქამუშაძის გაჭირვება“ დ. კლდიაშვილისა. „მოამბე“ 1900 წ. №№ I, II, III, და IV).

II)

ჩვენ განვიხილოთ, როგორ განვითარდა ოტიას არსებაში ის რწმენა, რომ საჭირო იყო ცხოვრებისათვის ახალი გზის გამონახვა და ძველის უკუზღდება, შევეხეთ იმ მიზეზებსაც, რომლებმაც განუვითარეს ოტიას ასეთი რწმენა, მაგრამ მოთხრობაში ამაზე მეტი რომ არაფერი იყოს, სხვას რომ არაფერს აძლევდეს მკითხველის გონებას, ამდენი ლაპარაკითაც არ შევაწუხებდით მკითხველს. როგორც უკვე მოვიხსენიეთ, მოთხრობაში მომქმედი პირები ძალიან მკრთალათ არიან დახასიათებული, ის არ გვაძლევს არც ერთ ისეთ ახალ ტიპს, რომელიც ჩვენ სახელოვან ლიტერატურაში არ მოიპოვებოდეს: ზოგიერთი მკვლევლისათვის ეს ისეთი დიდი ნაკლია, რომ მოთხრობას ფრიად სუსტ ნაწარმოებათ ჩათვლიდა ხელოვნების მხრით და ყურადღებასაც არ მიაქცევდა. სადაც არ არის ტიპი, იქ არც ხელოვნებაა, მაშასადამე არც ნიჭიო, აი

ბევრი მკვლევარის აზრი. ჩვენ სრულიად უარვყოფთ იმ აზრს, რომ მხოლოდ ნიქს შეუძლია ტიპის შექმნა. პოეტურ ნაწარმოებში ტიპი დიდ ღირსებას შეადგენს, მაგრამ გვგონია, რომ შეიძლება რომელიმე პოეტურ ნაწარმოებში არც ერთი ტიპი არ მოიპოვებოდეს, არც ერთი მომქმედი პირი არ იყოს სრულათ და ნათლათ დახასიათებული, მაგრამ მიუხედავად ამისა, ნაწარმოებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს. ჩვენ მიჩვეული ვართ იმ აზრს, რომ ტიპი მხოლოდ ადამიანი უნდა იყოს და ადამიანს გარეშე ტიპიურს აღარაფერს ვეძებთ მოთხრობაში, მაგრამ ასეთი აზრი სრულებით შემცდარია. რატომ არ შეიძლება ტიპიური იყოს ის მომენტები, რომლებსაც ავტორი იღებს ცხოვრებიდან! რასაკვირველია შეიძლება და ხშირათ ასეც არის ხოლმე! ასეთ მოთხრობას, ერთი ტიპიური ადამიანიც რომ არ იყოს შიგ, მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს, — მნიშვნელობა სოციალური. „ქამუშაძის გაჭირვება“-საც სწორეთ სოციალური მნიშვნელობა აქვს და ჩვენც ამაზე გვინდა მივუთითოთ მკითხველს. თუ ძველათ ჰერაკლიტი ქადაგებდა: ყოველივე მიმდინარეობაშია, ყოველისფერი იცვლებაო, დღევანდელმა მეცნიერებამ ჰერაკლიტის ასეთ ქადაგებაში ჰეშმარიტი აზრი დაინახა. ეს აზრი დღეს გაიზარდა, გაფართოვდა და გადიქა ევოლუციის თეორიათ, რომელიც მეცნიერების ერთ დიდ ღვაწლს შეადგენს დღეს. მეცნიერებამ დაგვიმტკიცა, რომ ერთხელვე სამუდამოთ დადგენილი ფორმა არაფერს არა აქვს; იცვლება ორგანიული არსება, იცვლება თვით საზოგადოებრივი ცხოვრებაც. ერთ ეპოქას ყოველგან და ყოველთვის მეორე ეპოქა მოსდევს. მეორეს მესამე, მაგრამ, სანამ ცხოვრება ერთი ეპოქიდან მეორეში ჩადგებოდეს, ის რამდენსამე ხანს გამოურკვეველ, მოსამზადებელ მდგომარეობას განიცდის ხოლმე; ამ დროს მასში ძველი ეპოქის ელემენტებიც არიან, ახლისაც ჩნდებიან, ცხოვრების სახე წაშლილია და ძნელია იმის გამოცნობა, როგორ სახეს მიიღებს ის მომავალში ე. ი. როგორი იქნება შემდეგი ეპოქა. ასეთ გამოურკვეველ მდგომარეობას უწოდებენ გარდამავალ ხანას და სწორეთ ასეთი გარდამავალი ხანის შეიღნი ვართ ჩვენც, დღევანდელი ქართველები. იქ სადაც ცხოვრებას გარკვეული ფორმა მიუღია, სოციალური მნიშვნელობის რომანი მაინცა და მაინც დიდ საჭიროებას აღარ შეადგენს, ამ მხრივ მისი რჩევა და ჩხრეკა სრულიად მეტია, რადგანაც უმრავლესობისათვის ისეც ცხადია, თუ როგორია ცხოვრება. ჩვენში კი ასეთი მიმართულების სახელოვან ნაწარმოებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. რო-

*) იხ. „კვალი“ № 29.

დესაც თითქმის ყოველ ქართველს თავისებურათ ესმის ჩვენი დღევანდელი ცხოვრება და მისი ტენდენცია, ჩვენი აზრით ყოველი მწერალი მოვალეა, უმთავრესი ყურადღება ცხოვრებას მიაქციოს, ყოველი მკვლევარი ვალდებულია, ლიტერატურულ ნაწარმოებში, პოეზია იქნება ის თუ პროზა, ცხოვრების სახე უყურადღებოთ არ დატოვოს და მასზე მკითხველს მიუთითოს.

კაპიტალისტური წყობილების, ბურჟუაზული ცხოვრების ნიშნებმა ჩვენში, კარგა ხანია, თავი იჩინეს, მაგრამ ამ ცვლილებას არა თუ საზოგადოება ვერ ხედავდა, ვერ ხედავდა დღემდე ჩვენი ჟურნალ-გაზეთობაც, რომელიც ვალდებულია, ცხოვრებას დაკვირვებით ადევნოს თვალ-ყური. კაპიტალისტური წყობილება ნატურალური წყობილების მტერია. ის ამარცხებს და სპობს უკანასკნელს და, რადგანაც წოდებრივი დაყოფა ნატურალური წყობილების სრული კუთვნილებაა, მასვე ატანს თან. ქართლსა და კახეთში, სადაც ბურჟუაზული ცხოვრების ნიშნებს ჯერ შესამჩნევი ცვლილება ვერ მოუხდენია საზოგადოებრივ განწყობილებაში, წოდებრივი კედლები ჯერ ისევ მტკიცეთ არიან: თუმცა თავად-აზნაურობა „მოლიზულ გზაზედ“ დაექანება, მაგრამ გლახობა ჯერ ისევ უძრავათ არის აქ ძველ საზღვრებში. აქ თავად-აზნაურს და გლახს ერთი მეორეში ტანისამოსითაც გააჩრვით ისევ. თუმცა „ივერია“-ას და მის „ახალ-მოსულს“ ეს ვერ წარმოუდგენიათ. იმერეთში კი, განსაკუთრებით მის დასავლეთ ნაწილში, სადაც კაპიტალისტური წყობილების ნიშნები შესამჩნევად განვითარებულან, ცხოვრება სულ სხვა სურათს წარმოადგენს.

ქონებრივად რომ გვარიანათ დაქვეითდა და თანდათან ღარიბდება როგორც ქართლ-კახეთის, ისე იმერეთის თავად-აზნაურობა, ეს აღარაგისათვის აღარ უნდა იყოს დაფარული. მაგრამ მაშინ, როდესაც ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა ქონების დიდი წილი უცხო ტომთა წარმომადგენლების ხელში გადადის, იმერეთის თავად-აზნაურობის ადგილ-მამული უმთავრესათ გლახებში ნაწილდება. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ იმერეთში იმ გლახების უმეტესი ნაწილი, რომლებიც აზნაურობის ყმებს შეადგენდნენ, უმიწა-წყლოთ დარჩა. რადგანაც მცირე ყმიანმა აზნაურებმა ყმებს მამული ჩამოართვეს, იმერეთის აზნაურობა კი უმეტესათ მცირე ყმიანი იყო. მოუხედავად ამისა დღეს იმერეთში ისეთ მიწის მომუშავე გლახს ვეღარ ნახავთ, რომ უძრავი, კერძო საკუთრება არ ჰქონდეს, ახალმა ცხოვრებამ ჩვენ თავად-აზნაურობას ძალიან ბევრი მოთხოვნილება შემატა. თავად-აზნაურობის ერთადერთ სიმდიდრეს მიწა


შეადგენდა, ფული მას არ გააჩნდა და ამიტომ საჭირ მდგომარეობაში ჩავარდა, მაგრამ ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელათ ცხოვრებამ მას ერთი კარები დაუტოვა: როგორც ყოველისფერი ისე მიწაც გასაყიდ ნივთათ აქცია. თავად-აზნაურობაც გაექანა ამ კარებისაკენ, მიწა ბაზარზე გამოიტანა და დღესაც გამოაქვს გასაყიდათ. იმერელმა გლახმა ისარგებლა ამ მდგომარეობით და, დღეს საცა კი გასაყიდი მიწა გამოჩნდება, ტყე იქნება, სახნავი თუ ვენახი, ის ხელიდან აღარ უშვებს. ბ. კლდიაშვილი თავის ახალ მოთხრობაში იმერეთის აზნაურობის მდგომარეობას გვიხატავს. იმ ფაქტს, რომელსაც ჩვენ ზემოთ მივაქციეთ მკითხველის ყურადღება ავტორიც აღნიშნავს: ოტიასა და მისი ბიძის, ლევანის, ადგილ-მამულს გლახები ინარჩუნებდნენ. იმერეთის აზნაურობა ადგილ-მამულით არც წინეთ იყო მდიდარი, მაგრამ ხალხი ცოტა იყო, მოთხოვნილებაც მცირე, ამიტომ ყველას საკმარისი ჰქონდა ყოველიფერი. დღეს ხალხი გამრავლდა, ახალმა ცხოვრებამ ყველას ისე გაუღვიძა კერძო საკუთრების მადა, რომ შვილი მამასთან აღარ დგება, ცალკე მოსახლობას ეტანება. ამიტომ იმერეთის აზნაურობის ერთადერთ ქონებას-მიწას-მარტო ეს გარემოებაც დააქუცმაცებდა. მაგრამ ამას ზედ დაერთო მრავალი ახალი მოთხოვნილება, რომელთა დასაკმაყოფილებლათ საჭირო შეიქნა ფული. აზნაურობა მთელი თავისი მოთხოვნილებით მიწას დააწვა; მიწაც ყოველიფერს ვეღარ გაწვდა, აზნაურობას ხელიდან გამოეცალა და ცალიერზე დატოვა. იმერეთში დღეს სწორათ შეხედვებით ისეთ აზნაურებს, რომლებიც არც ადგილ-მამულით, არც მოსახლეობით, არც ჩაცმა დახურვით საშუალო გლახისაგან აღარ განირჩევიან; სამაგიეროთ ნახევრად ისეთ გლახსაც, რომელიც შეძლებით, სახლკარით და გარეგნობით აზნაური ან თავადი გეგონებათ. თუ წინეთ ყოველ თავადს, აზნაურსა და გლახს ტანისამოსითაც კი იცნობდით, დღეს ასეთი დრო გაფრინდა სამუდამოთ. ამის მოწამეა თამარნაშენის ცხოვრება „ქამუშაძის გაქირვება“-ში. ერთი მითხარით, რითი განირჩევა აზნაური ლევან ქამუშაძე საშუალო კი არა ღარიბი გლახისაგან? არაფრით. ტანზე აცვია დაგლეჯილი ჩოხა; მის სახლკარს შეადგენს ერთადერთი ქოხი, რომელიც სადგომიც არის, სასიმიინდეც, ბედელიც, ბოსელიც. ადგილ-მამული კი იმდენიც აღარ დარჩენია, რომ ორ მოხუცებულ ადამიანს მჭადი აქამოს, და ეფროსინე იძულებულია, ნედლი სიმიინდი ტახოს ყანაში, მზეზე ახმოს და მითი ირჩინოს თავი. რითი ჯობია მანანა და მისი სიძე, სეფე მარუშიძე, ღარიბ გლახს? ვერაფრით.

ქართული

თვითონ სეფე ფეხშიშველი დადის, შვილები ტიტველი დაუდიან და ნახევარჯერ ის და მისი ოჯახი კუქ-გაუმძღარი არიან. ერთი სიტყვით ახალმა ცხოვრებამ აზნაურობას გლახა დროს უსწრო; აზნაურობა მოუშაადებელი დაუხვდა და, თუმცა ახლა ებრძვის ცხოვრებას თავგამეტებული, ცდილობს, მას შეეგუოს, მაგრამ ცხოვრება ძალიან ბევრს ამარცხებს და ანადგურებს. ბ-ნი კლდიაშვილი გვიხატავს ამ ბრძოლის ველს, რომელზედაც ზოგი უკვე დამარცხებულია, ზოგი უკანასკნელი ძაღლიდან და იბრძვის და დღესა თუ ხვალ დამარცხდება, სხვები ახლათ იწყებენ ბრძოლას და წინამებრძოლთა ხვედრით შემინებულებს წინდაწინვე გული აქვთ გატეხილი: ვაი თუ ჩვენც დავგამარცხოს ცხოვრებამო. როგორც ბ-ნი კლდიაშვილი გვიჩვენებს თავის ახალ მოთხრობაში, ახალ ცხოვრებასთან შეგუებისათვის ბრძოლაში, აზნაურობა ორ ნაწილათ იყოფა: ერთ ნაწილს შეადგენს ძველი თაობა, მეორეს ახალი. მაშინ როდესაც ძველი თაობიდან უმეტესი ნაწილი მარცხდება, ახალი თაობიდან ძალიან ბევრი ეგუება შეცვლილ ცხოვრებას. საზოგადო ცხოვრების ცვლილება, ახალ სოციალურ პირობებთან შეგუება აუცილებლათ ითხოვს იმ საშუალებათა შეცვლასაც, რომელთა შემწეობითაც ადამიანი თავს ირჩენს. თუ ეს უკანასკნელი პირობა არ არის დაცული, რამდენიც უნდა იზრდომოს ადამიანმა, ნაყოფი მაინც მცირე იქნება. ძველი თაობის დამარცხების მიზეზიც სწორედ ამასში მდგომარეობს, ის გრძნობს, რომ ცხოვრება შეიცვალა, სხვა დრო დადგა, მაგრამ მას აზრათაც არ მოსდის, რომ სხვა გზას მიმართოს, სხვა საშუალება გამოიხატოს ცხოვრებისათვის, ის მხოლოდ მიწაში ეძებს ხსენას და შრომას აორკეცებს; სხვა დროც რომ გამოიხატოს, არც აგონდება, არც ეხერხება, ახალი ცხოვრებას ახალი გზა უნდა, ძველი თაობა კი ძველი გზით ცდილობს ახალი ცხოვრების დამორჩილებას და ამიტომაც დამარცხება აუცილებელია. აიღეთ მაგ. ეკვირინე. მაშინ როდესაც დაღონებული ოტია ეუბნება: — რა მოვაგვარო, რას მოვეკიდო, არ ვიცი! აწი ხომ უფრო მეტი დაგვჭირდება ყველაფერიო, აი ეკვირინე როგორ ანუგეშებს მას:

„— ღმერთო მოგვეცემს, შვილო! ღმერთი მოგვეცემს! თავის გაჩენილს თავის ლუკას გაუჩენს კიდევ, რაზედ სწუხარ, შენი ჰირიმე! გულ-გახსნილათ იყავი! ღმერთი მოგვეცემს ყოველიფერს! ყოველისფერი გვექნება! ბევრიც გვექნება... ბარემ ათი დღელი მყავს დამჯდარი, ისე რავე გამოხდებინა, რომ ერთი ასი ფრთა მაინც არ გაზარდინ, ბატოც ოთხი ზის, ათ-ათი კვერცხი უღვეო. ინდოურია სამი!.. გულ მაგრათ იყავი!.. ღმერთის წყალობით არასფარში არ შევრცხვებით და უკლებლათ ვიქნებით! კი, შვილო, კი!..“

ეს გულ უბრყვილი ადამიანი სწორედ რომ საცოდავია თავისი ბავშური იმედებით. ეკვირინე სრულებით არ არის ოტიაზე ნაკლები ქკურს პატრონი; მან კარგათ იცის, რომ დღეს მის ოჯახს მეტი საჭიროება აქვს, მაგრამ სხვა, ახალი გზის გამოიხატვა ფიქრათაც არ მოსდის. როდესაც მისმა რძალმა და შვილმა გამოიხატეს სხვა საშუალება ცხოვრებისათვის, ის თვალ-ცრემლიანი შეტირის ორივეს: ოჯახს ნუ დაანგრევთ, შვილებს გზაში ნუ გამიყრითო. ის ყოველგვარ გაჭირვებას აიტანს, შიმშილით მოკვდება, ოღონ თავის ორ კვალ მიწას ნუ მოაცილებთ. სულ სხვა ნაირათ ფიქრობს ახალი თაობის უმეტესი ნაწილი. ის დარწმუნებულია, „რომ ძველ გზაზე დარჩენა მეტ ხანს არ შეიძლება აწი, რომ მარტო მიწა ვერ დააკმაყოფილებს მისი ოჯახის მთელ საჭიროებას; რომ საჭიროა განსხვავებული გარჯა, განსხვავებული შრომა“. ამიტომაც ის თავს ანებებს მიწას და ჰკიდებს ხელს ამ „განსხვავებულ შრომას“. ამ გვართათ ცხოვრება აიძულებს ჩვენ ერს მოქალაქობრივ გზაზე შედგომას, სოფლის დატოვებას და ქალაქში გაშურებას. იმას ნურავინ დაგვწამებს, ვითომ ჩვენი აზრით საჭირო იყოს, რომ ყველამ თავი დაანებოს სოფელს და ქალაქებში გადასახლდეს; ჩვენი აზრით ცხოვრება ითხოვს, რომ სოფელმა თავისი ზედმეტი ელემენტი ქალაქს გაუგზავნოს, უკვე იჩინა კიდევ თავი ჩვენ ხალხში სოფლიდან ქალაქში მოძრაობამ; ასეთ გზაზე უმალ გლახობა შედგა, მას ახლა უკან მისდევს გაღარიბებული თავადობაც. იმერეთში უკვე გაჩნდა გაღარიბებული, პროლეტარათ ქცეული აზნაურის ტიპი, რომელიც სოფელში ყოველისფერს ჰყიდის, თუ რამ გადარჩენია, სოფელთან სრულებით წყვეტს კავშირს და ქალაქისაკენ მიეშურება. ასეთი ტიპი არა თუ ქვემო იმერეთში, ზემო იმერეთშიც კარგა ხანია არსებობს, თუმცა ზემო იმერეთი ეკონომიურათ ცალი ფეხით ქართლში დგას. ბ-ნი კლდიაშვილის ერთ დიდ ღირსებას ის შეადგენს, რომ მან მკითხველს მიუთითა ამ ახალ მოვლენაზე, რომელმაც თავი იჩინა ჩვენ ცხოვრებაში და რომლისთვისაც დღემდე ჩვენ მწერლობას ყურადღება არ მიუქცევია. აზნაურები და თავადები, შართალია, წინეთაც მიდიოდნენ სოფლიდან ქალაქადგილას, მაგრამ ასეთ გადასახლებას წინეთ კერძო ხასიათი ჰქონდა, კერძო მიზეზებით იყო გამოწვეული, დღეს კი ამ მოძრაობას სოფლებიდან ქალაქებისაკენ საზოგადო ხასიათი აქვს, სოციალური მიზეზებით არის გამოწვეული და ამ მოძრაობის მნიშვნელობაც სწორედ ასეთ სოციალურ მიზეზებში მდგომარეობს. მოქალაქეობრივ გზაზე



შედგომა თვით ცხოვრებამ მოითხოვა, ჩვენი ხალხი უსათულო უნდა დაადგეს ამ ახალ გზას, თუ უნდა, ცხოვრებას არ გაანადგურებოდა თავი; ჩვენთვის ფრიად გასახარებელია, რომ ქართველობა უკვე შედგა ამ გზაზე, თორემ „ივერიის“ რეცეპტებს რომ ჩვენ ცხოვრებაზე გავლენა ჰქონდეს, თქვენი მტერი: ჩვენი ხალხის დაღუპვა აუცილებელი იქნებოდა.

ივ. გომართელი.

მსოფლიო გამოფენა პარიჟში

(ერთი თვალის-გადავლებით)

(შემდეგი) *

„ტრანსვაალის“ გვერდით ძვეს „ნიდერლანდის კოლონიები ინდოეთში“. ეს შეიცავს ორ პავილიონს, რომელთა შორისაც მალეობ ტერასაზე დგას უცნაური, უშველებელი თეთრი „ქვა“. (სიმაღლით 13 მეტრი, სიგანით 17 მეტ.) მას ზევიდან ბუხრის ტრუბებივით აუშვერია რამდენიმე პატარა სვეტი. აქვს ორიოდ პატარა ფანჯარა „სათბურებივით“ და ერთი პატარავე კარი „პაპერტით“, რომელსაც შევყვართ მოხდილ „ოთახში“. „ქვა“ როგორც შიგნიდან ისე გარედან ერთიანათ მოფენილია „ბარელიეფებით“ (კედელზე ნაქანდაკები). ესენი გვიხატავენ სხვა-და-სხვა სცენებს ბუდას ცხოვრებიდან. როგორც მაგ. ბუდა დგება ზეციურ ტახტიდან, რომ ძირს დედა-მიწაზე ჩამოეშვას; ბუდას დედა მარია (Māya) თავისი მხლებლებით გარშემორტყმული დებულობს მეზობელ პრინცის ვიზიტს; ბუდას ცდუნება ლამაზი ქალებისაგან; ბუდას აპოთეოზი და სხ. იქვე დგას აგრეთვე სივა, ვიშნა და სხვა ღმერთების ქანდაკებანი. როგორც ხედავთ, დასახელებული „ქვა“ უბრალო ლოდი არა ყოფილა. იგი წარმოადგენს კუნძულ იავაზე¹⁾ ინდუსების ბუდაურ ტაძარს, ეს ტაძარი ძველათ ჩინელებს აუოხრებიათ და დღეს დარჩენილა მხოლოდ ნანგრევები. ამ ნანგრევებით უხელმძღვანელებიათ სწავლულთ და გამოფენაზე აღუდგენიათ ტაძრის მთელი სურათი.

ტაძარს აქვთ-იქითა მხარეზე დგას ორი, თითო სართულიანი, გველი, ხის სახლი, დახურული პალმას ყლორტებით. კედლები დაქრელებულია ჩუქურთმი და წითელ, ყვითელ, მწვანე, ლურჯ ფერადებით. სახლები წარმოადგენენ კუნძულ სუმატრის ინდუსების არხიტექტურის ნიმუშს. შიგ

გამოფენილია სამეურნეო წარმოების ნიმუშები (ყავა, კაკაო, ჩაი, შაქარი, ინდიგო და სხ). რამოდენათმე ნაჩვენებია ადგილობრივ მცხოვრებთა ეთნოგრაფია. ერთ სახლში ყურადღებას იქცევს ერთი უცნაური, ახმახი „არსება“. გაკეთებულია სწავლული დიუბუასაგან კუნძულ იავაზე ნაპოვნი ძვლების მიხედვით. ახმახი „არსება“ არც ადამიანია, არც მაიმუნი. პირველსაცა ჰგავს და მეორესაც, უფრო კი პირველს. სწავლულის აზრით იგი წარმოადგენს ადამიანსა და მაიმუნს შორის გაბმულ ნათესაურ ჯაჭვის საშუალო რგოლს.

„ნიდერლანდის კოლონიებზე“ ცოტა მოშორებით, ხეივანებს შორის რომ მოჩანს დიდი შენობა, დაშვენებული ობელისკებით, იეროგლიფებით, სფინქსებით, ეს შენობა ეგვიპტის სასახლეა. ფასადი აშენებულია ნუბიის უძველეს ტაძრის სტილზე. სასახლეში მაგდენი არაფერია სანახავი, ჯერ-ჯერობით მაინც; რამდენიმე სამეურნეო ნაწარმოების ნიმუში, ორიოდვე არაბული ქსოვილება, ხალიჩა-ფარდაგები, ორიოდვე უძველესი ქვის ქანდაკებათა ნატეხი, სპარსეთის შაჰის ჩაცმულობა. ჩავიდეთ ისევ სასახლის სარდაფში. სარდაფი გაყოფილია ნაწილათ, რომლებიც წარმოადგენენ ეგვიპტურ, მიცვალებულთა დასაკრძალავ ოთახებს. ოთახებში აწყვია ეგვიპტის მეფეების სხვა-და-სხვა საგვარეულოთა (დინასტია) მუმიები. მაგ. ერთი მუშია ეკუთვნის მე-XI-ტე დინასტიას (2.000 წ. ქრისტეს წინეთ), მეორე მე-XIX-ტე დინასტიას (1.400 წ. ქ. წინეთ) და სხ. მუმიებს გარს უდგიათ თიხის ქიქლები, ლიტრები, ხის ანუ ქვის სხვა-და-სხვა ფიგურები, „ამულეტები“ (გულზე სატარებელი შელოცველი ნივთები, ავგაროზები) ზოგ მუმიას გულზე ადევს პიპირუსები (ერთგვარი მცენარის ქერქი, რომელსაც ეგვიპტიელნი ძველათ საწერათ ხმარობდენ), პაპირუსები შეიცავს სხვა-და-სხვა ლოცვებს, მიცვალებულთა ვედრებას და „ატესტატს“. სანიმუშოთ აი ერთი ადგალი ამ „ატესტატიდან“: „პატივითა და მოკრძალებით ვეპყრობოდი მამას, პატივსა ვცემდი დედას, მიყვარდა ძმები; სანამ ცოცხალი ვიყავ არავისთვის არაფერი არ დამიშავებია. ქომაგი და მოსარჩლე ვიყავ სუსტისა. წინა აღმდგვი ძლიერისა, მიყვარდა მეგობრები, ჩემი ხელი ყოველთვის გაშლილი იყო იმათთვის, ვისაც არაფერი ჰქონდა... მიყვარდა ქვეშაობები, მძულდა სიცრუე... დიდება შენდა, უფალო ქვეშაობებისა და სამართლიანობისა... ქვრივი არ მიწვალვია, სასამართლოში ტყუილი არ მიტყვამს, მუშებისათვის არ მომითხოვია იმაზე მეტი შრომა, რისაც მოვალე არა ყოფილან“... და სხ. ჩამოთვლილია ბევრ გვარი სათნოება და შემდეგ ასე ბოლოვდება: „მე უმწი-

* იხ. „კვალბ“ № 29.

¹⁾ კუნძულ იავაზე ბუდიზმი გავრცელებულია მე V—VI საუკუნეებში; ხოლო მე-XV-ტე საუკუნეში აღვილი დაუთმია ისლამისათვის (მაჰმადიანობა).

ქართული

კვლო ვარ! მე უმწიკვლო ვარ! მე უმწიკვლო ვარ!“
 ოთახების ჭერებზე დახატულია ცაში მოსრიალე
 ბერები. რომელთაც კლანჭებში სამართლიანობის
 სიმბოლო (სირაქლემის ბუმბული) უჭირავთ. კედლე-
 ბზე დახატულია რელიგიური შიარსის სურათები.
 მაგ. დაჩოქილი ადამიანი თაყვანსა სცემს აპისს
 (სამღვთო ხარი); მგლის თავიანი ღმერთი ანუბისი
 დარაჯობს მუმისს, რომ უვნებლათ იქმნას შენახუ-
 ლი, მუმისს ზევით დგას სამი ყუთი, რომელშიაც
 უნდა ინახებოდეს მიცვალებულის შიგნეულობა;
 ანუ კიდევ, ღმერთი ოზირისი, რომელსაც თან
 ახლავს 42 მსაჯული (ექსპერტი), აწონინებს მიცვა-
 ლებულის გულს: სამართლიანობისა და ქვემარი-
 ტების ღმერთებს მოჰყავთ ოზირისის წინაშე თვით
 მიცვალებული, იქვე, კარების შუა ადგილას, უჭი-
 რავთ სასწორი. ცალ მხარეზე ძვეს სირაქლემის
 ბუმბული—სამართლიანობის ეგვიპტური სიმბოლო,
 მეორე მხარეზე მიცვალებულის გული. ამ სასწორ-
 ზე უნდა გამოძღვანებულიყო მიცვალებულის ნამ-
 დვილი ვინაობა, მართლა უმწიკვლო იყო ის, რო-
 გორც ეწერა „ატესტატში“ თუ მზაკვარი. პირველ
 შემთხვევაში მიცვალებულის სული კვლავ უერთდებოდა
 სხეულს და ხელ-ახლა გაცოცხლებულს ენი-
 ქებოდა სამარადისო უკვდავება, მეორე შემთხვევა-
 ში მიცვალებული ხელ-მეორეთ კვდებოდა და ისე
 სასტიკათ, რომ არასოდეს აღარ შეძლებოდა გა-
 ცოცხლება.

თავისთავათ ცხადია, რომ ოთახების მხატვრობა
 ძალიან სუსტია; ნახატები ძლივ-ძლიობით ჰგავს
 იმ საგნებს, რომელსაც წარმოადგენს.

ეგვიპტეს სასახლის პირდაპირ დგას იაპონიის
 პავილიონი.²⁾ ეს ორ-სართულიანი, მაღალი, კომ-
 კის მაგვარი ხის შენობაა. კედლები შედებილია
 ოქროს ფრათ, მოაჯირები წითლათ. ფასადი მორ-
 თულია სკულპტურული ფიგურებით (ღმერთები,
 ფრინველები, ზღაპრული ხეხილის ნაყოფი), შენობა
 იაპონელთა მე-VII საუკუნის არხიტექტორული
 ხელოვნების ნიმუშია. შიგ წარმოდგენილია იაპონიის
 ხელოვნება—სკულპტურა და მხატვრობა—უძველესი
 დროიდან მე-19-ტე საუკუნემდე. დაბლა სარ-
 თულშია ბუდიურ ღმერთების ხის, ქვისა და ბრონ-
 ზის ქანდაკებანი. ღმერთებ შორის მეტ ყურადღე-
 ბას იქცევენ თვით გაბლინძული ბუდა, რომელიც
 სპილოზე ზის და ალუშფოთებელი სიმშვილით იც-
 ქირება. ყურადღებას იზიდავს აგრეთვე ერთი ღმერ-
 თა (ბრონძის ქალი) თავისი ნაზი ღვთაებრივი გა-
 მომეტყველებით. საერთოთ ყველა ღმერთებს ტი-
 პიური, იაპონური სახეები აქვთ. ქანდაკებათა უმე-
 ტესი ნაწილი სუფთათ არის ნაკეთები, სისწორით
 არის გამოყვანილი, როგორც სხეულის ნაწილები,
 ისე სახის გამომეტყველება. ამავე სართულშია
 რამდენიმე ძველი სამხედრო იარაოი, სამხედრო

ჩაცმულება აბჯარ-ჩაჩქანი, მეტათ სუფთათ და
 მახათ გაკეთებული, სამწერლო ნივთების შესანახი,
 ხის ყუთები. ზევითა სართულში მოთავსებულია
 მხატვრობა. უმეტესი ნაწილი სურათებისა დახა-
 ტულია აბრეშუმის მატერიაზე. სურათებში, გარდა
 ღმერთებისა, ეხედავთ აგრეთვე ზღვის პეიზაჟებს.
 უკანასკნელი ვაცილებით უფრო უკეთ არის შე-
 სრულებული, ვინემ პირველნი.

პავილიონში გამოფენილი ზოგი ნივთები შეა-
 დგენენ იმპერატორის კუთვნილებას, სხვები მძიმეთ
 ყოფილა დაკრძალული მუზეუმებში. უკანასკნელ
 დრომდის იმათი ნახვა შესაძლებელი ყოფილა მხო-
 ლოთ რჩეულთათვის. იაპონიის მთავრობა დღემდის
 თურმე ვერა ბედავდა ეჩვენებინა ევროპისათვის
 თავისი ქვეყნის ეროვნული განძი. დღეს ეტყობა
 აღარ ჰშინებია ან კი რათ უნდა ეშინოდეს, როცა
 თვით იაპონია ევროპიელდება.

ლ. დ.

ჭ ი ა თ უ რ ა

(შთაბეჭდილებანი და ფიქრები დღიურიდან *).

15....

რა გზა უნდა გაიაროს შავმა ქვამ ფაბრიკანტთან.
 მისვლამდის? ჯერ ის მიწის ზატრანის საკუთრებას, რა-
 მედინ უფრო სხვას აძლევს იჯარით მიწას, ვიდრე ქვას თვი-
 თონ დაამუშავებდეს. მიწის შესაკუთრების ერთი მე-
 თხედი თვითონ ძლივს მუშაობს თავის მამულში.
 ერთათ ერთი მრეწველი შავი ქვის წარმოებაში არენდა-
 ტარი—ქვის დამამუშავებელია. იგი ქირაობს მუშებს
 მადარებებში მარჯანჯის მოსახხრედათ და გარეთ გამო-
 სატანათ, ქირაობს ჩაღვადრებს და ურმებს და უგზავნის
 ქვას ჭიათურაში საწყობების ზატრანებს, იმას, ვინც
 მისთვის უფრო სხვირას; არავისთან წინაწინ ზირება
 არ აქვს შეკრული, შეუძლია დღეს ერთს გაუგზავნოს ქვა,
 ხვალ შეკრეს. საწყობების ზატრანები უბრალო ვაჭრები
 არიან, ეიდულობენ ქვას ჭიათურაში, გააჭვთ მერმე ფოთში
 (ზოგიერთები წვრილები აქვე ჭიათურაში ჰედიან) და
 აქ ჰედიან უცხოელ კომისიონერებს, რომელთაც მიაჭვთ
 ქვა უცხოეთში შექარხნე-მეფაბრიკებთან. ეს საზოგადოთ.
 მოხდება ისე, რომ მამულის ზატრანი თვითონ დაამუ-
 შავებს ქვას, არენდატარი და საწყობის ზატრანი ერთი
 და იგივე ზირია, საწყობის ზატრანი და უცხოეთში გა-
 მზიდველი ერთია, ერთი უცხოელი კომისიონერი კიდევ
 მეორე კომისიონერს აძლევს ქვას და სხ.

ვინ რას ღებულაბს ამ წარმოებაში?
 წელს გაიტანებენ სულ ჭიათურიდან 30 მილ. ვუ-

2) იაპონიის პავილიონი იხ. „კვალი“ № 26, გვ. 412.

*) იხ. „კვალი“ № 29.

თამდე მარკანეცს, ფუთი გაიყიდა 23 კ. თუ ცოტა მეტათ, ეს შეადგენს 6.900 მილიონ მანეთს. აქედან რომ რკინის გზის ქირა (10 კან. ფუთზე) გამოფრცხნათ, დაგვრჩება 4 მილიონი მანეთი. ეს ფული ნაწილდება ასე: უფლებივე ფუთზე ადგილის ხატრანი იღებს რენტის 1 კან., (სულ 300.000 მ.), ანენდატორი—1—1¹/₄ კან. 300.000—375.000 მ.), მანების მუშა 1—1¹/₄ კ. (300.000—375.000 მ.),¹⁾ ხალვადარი თუ მეურმე 3—3¹/₂ კ. (900.000—1,050.000 მ.),²⁾ დანარჩენი 2.100.000—1.900.000 მან. როგორც სხვა-და-სხვა წერილ ხარჯებზე და ჭიათურის საწყობების ხატრანებში შერის, რომელთა რიცხვი დღეს 56-ია.

ეს ზირდაზირი მოგებაა შავი ქვისაგან. ამას უნდა დაუმატოთ რკინის გზის გამოყვანა, რომელიც გამოიწვია მარკანეცმა, ფულის მოძრაობა, მცხოვრებლების მისვლა-მისვლა, მოძრაობა ერთი ადგილიდან მეორეში, სხვა-და-სხვა ელემენტების ერთად შეჯახება, მრეწველობაში ვარჯიშობა და მისი კულტურული ზედ-გაყვანა და სხ.

16.....

ჩვენი ერის ბედ-იღბალი მრეწველობაშია: მრეწველობის განვითარება წავაგვს წინ, მისი განუვითარებლობა მიწასთან გაგვასწორებს. საერთა შერისა შეტაკებაში ის არის გამარჯვებული, ვინც მრეწველობაში უფრო განვითარებულია, — უმთავრესათ, მატერიალური ძალებით მდიდარია. ისტორია ბუნების და ადამიანის შერის ბრძოლას, ზრდგრესის უკანასკნელის გამარჯვება და ზირველის დამხრებას. დღეს ეს ბრძოლა და გამარჯვება უმთავრესათ მრეწველობაში წარმოებს. ვინც მრეწველობაში უფრო წინ წასულია, ის უფრო ზრდგრესიულია. მრეწველობაში ადამიანი ამოგლეჯს ბუნებას ძალებს და კარდაქმნის მათ თავის მრავალ-გვარ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ, მინიჭებებს სიმდიდრეს, ე. ი. იმას, რითაც იგი იკმაყოფილებს თავის სხეულის, თავის გონების და სულის საჭიროებებს, აქვს კეთილ-განწყობილი ცხოვრება, ვითარდება — შეიკრებს თავის არსებაში ძალებს ცხოვრების გაუკეთესებისათვის. — მრეწველობის განვითარება ბუნების დამორჩილებით სიმდიდრის მოპოვებას, სიმდიდრე-მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, სწორდის მიღებას, უკანასკნელი — გაზრდა, გაძლიერება.

17.....

მოსალოდნელია თუ არა მოკლე დროში კრიზისის შავი-ქვის წარმოებაში? ერთმა მრეწველმა მითხრა: სულ

1) მანებში მომუშავეს შეუძლია დღეში აიღოს 100—150 კ; ეს დანყარებულია მის მუშაობაზე, რადგან არხ-ლატორს ის საუნობით ურიგდება. ერთი ცხენიანი ხალვადარი აიღებს დღეში 150—175 კ., უმრავლესათ 2-3 ცხენი ჰყავს თითო კაცს.

2) ხალვადარი ხარჯავს თავის თავზე 40 კ., თითო ცხენზე 50 კ., ტუნელის (ჰაღის) მუშა 20—15 კ., კამბეჩის მეურმე იღებს დღეში 3 მ. 50 კ., ხარის მეურმე — 2 მ. 50 კ., ხარჯი ხარებზე თ კამბეჩებზე 60 კ., მეურმეზე 40 კ.

მალე უნდა მოველოდეთ მას; მარკანეცის მოთხოვნილება შეუძლებელია ნამეტანვით გაიზარდოს; ახლა ბევრი მოხდება ქვა, ბაზრები გაივსება და ფასი დავარდება... მეორეს აზრით კი, მარკანეცი საჭიროა არა მარტო ფელადში, უფრო რკინეულებში, მაგ. რუსებისთვის. რკინის გზები შეუჩერებლათ მრავლდება, ავიდეთ თუნდ რუსეთი; ამის გამო მარკანეცის მოთხოვნილება ანამც თუ დაეცემა, იმატებს კიდევ...

გასაკვირველია „მარკანეც მრეწველობის კრების რჩევა“ რას აკეთებს ქუთაისში? ეგვალზე უწინარეს იგი აქ, ჭიათურაში, უნდა ბინადროდეს, ზირდაზირ ადევნებდეს თვალ-უფრს საქმეს და არა „კამანდიროვებით“ და მიწერ-მოწერით განაგებდეს.

აქ მას ბევრი რისამე გაკეთება შეუძლია. ერთი ქუჩა არ არის ჭიათურაში ქვით რთენილი; ერთი ფანარი არ ანთია, დამე ხელში ფანრით, თორემ ისე გავლას შეუძლებელია... მარტო ოთხიადე წიგნების და გაზეთების საშეითხველო რის მაქნისია! უზირველესათ საჭიროა: ახარები (ჭიათურა უბანროთაა?!), სოფთათ მოწყობილი იათი სადგომები მუშებისათვის, თავლების ცალკე მოშორებით გაკეთება; იათი სასადლოები (თუ ზეტერბურგში შეიძლება 8—10 კან. სადილი მისცენ მუშას, განა აქ არ შეიძლება?).

19.....

საწყობზე ვარ. კამბეჩებმა მძიმეთ დატვირთული ურები უნდა აიტანონ ზევით, მაგრამ უჭირთ ძლიერ. მეურმე უმოწყალოთ ურტყამს ჯახს ხან ერთს, ხან მეორეს. ზირუტეები ჩაინტებენ, უნდათ განდენ რასმე, მაგრამ ამათ. მეურმე მანც არ ეშვება, საბრალეებს ეელში აწეური უჭერს, ენები კადმოაგდეს, თვალები ამხრტამაზე არიან... ერთმა იმ კვარათ შემომხედა, თითქოს შებრალეებს და სამართალს მითხოვდა. კინადამ მივარდი, რომ თავზე ხელი გადამესვა.

ახირებული ხალხია ზოგიერთი ჩვენი მრეწველები, „კაკერით“ უნდათ მოიგონ ფული. სხვაგან არიან და მოლოთ ხანდისხან, კვირაში ორ დღეს თუ ჩამოხედვენ ჭიათურაში თავის საქმეს.

ამით შორს ვერ წავლენ. მრეწველობა მოითხოვს ზირდაზირ თვალ-უფრის გდებანს, მუშაობას, მეცადინეობას, და არა მარტო გარედან ხელის შეწყობას.

არ მოწონთ ჭიათურა! ტლახნია, სიბინძურე, ცრუობა... მაგრამ არ შეუძლიათ განა ქუჩები ქვებით მოაგონ, გაიხათონ, მოწყონ ზოგი ადგილები, მეტი სისუფთავე დაიცვან, გაიკეთონ ბადი, დაიარსონ ერთათ შესაკრები და გასართობი ადგილი! ეს არ არის ძნელი, თუკი მოისურვებენ და მოინდომებენ.

ერთმა მრეწველმა მითხრა: მარკანეცს ხმარობენ 10% ფელადში და რკინეულობაში. ჩვენ გავვაქვს დღეს 25—30 მილ. ფუთი, მოთხოვნილება მარკანეცისა სულ 60 მილიონია, ასე რომ ჩვენ გაზიდვას რომ მოვეუმა-

ტომ 40 მილიონამდე, ფასი მანდა-მანინ ან დაეცე-
მა³⁾.

25...

დღეს ჭიათურაში 24.030,361 ფუთი მარგანეტი
აწევიან, ამაში ქართველებს ეკუთვნის მეხუთედზე ცოტა
მეტე წილი (5.008,829 ფ). სულ ეს მარგანეტი არის
56 კაციის საკუთრება, მათში ქართველები 29 არის.
ქართველები უმრავლესათ წვრილი მესაკუთრანი არიან.
უოფლედე სსწეობის ხატონს იმდენ ვაგონს აძლევენ
ჯერში ქვის გასაზიდვათ ჭიათურიდან ფოთში, რამ-
დენი მარგანეტიც უწევიან ჭიათურაში საწეობზე. სულ
24.030,361 ფუთ მარგანეტზე არის დანიშნული 1203
ვაგონი. ეგელაზე მეტი ვაგონი ჰქვას (და რასაკვირვე-
ლია მეტი ქვაც აქვს) ზანსაიეს—179 ვაგ. მერე ძმ.
ოგანეზოვეს—162, ფორგულს—130, აგეგინოს—
128, ზილიდის—93 ზ. წულუკიძეს—88 და სხ. სულ
ქართველების წილათ არის 241 ვაგონი; ზირველი ად-
გილი ქართველებში უკავია ზ. წულუკიძეს (88 ვაგ).
უკანასკნელი ღუნდუას (1/4; უმეტესობას ჩვენებს ჯერში
1, 2, 3, ვაგონი აქვს დანიშნული, 20-ზე მეტი რომ
ქონდეს ამისთანა მარტო ოთხია.

ადგილების მესაკუთრეთა და ქვის და მს-
მუშავეებლთა⁴⁾ (არენდატორთა) დიდი უმრავლე-
სობა ქართველებია. მანებში ქვის დამუშა-
ვებს აწარმოებს 292 კაცი, მათ შორის ქარ-
თველი მხოლოდ 19-ტია. სულ შარშან დამუშავებიათ
მანებში 34 მილ. ფუთი მარგანეტი, ამაში ქართველებს
30 მილ. ფუთი. ამ 292 კაცს წრეწინდელ კრებაზე აქვთ
160 ხმა,⁵⁾ რომლის რიცხვიდან არა ქართველებს ეკუ-
თვნის 19 ხმა. ეს 160 ხმა აქვთ 99 პირს: 88 ქარ-
თველს 141 ხმა, 11 უცხოელს 19 ხმა.⁶⁾ ეს 273
მანებში ქვის დამამუშავებელი ქართველები წარმოადგენენ
უძველეს ძაღს, თუ ორგანიზაციას მიიღებენ. მათ შეუ-
ძლიათ შეადგინონ ამხანაგობანი (ეგელას ერთად შეერთება
მე მკონია ძნელი იქნება დღევანდელ პირობებში) და ამის
მაგიერ, რომ სხვებს მიჰყიდონ ქვა-საწეობებზე ჭიათურაში,
თვითონ იქნებინ საწეობები, თვითონ ჩაიტანონ ქვა
ფოთში, გაიტანონ უცხოეთში. რაც შეეხება ფულს, ერ-
თი საწეობი ხატონი არ აწარმოებს თავის საქმეს სა-
კუთარი ფულით, ეგელანი ბანკებით სარგებლობენ. თუ
ბანკი უხსნის კრედიტს თითოეულ პირს, რისთვის არ
მისცემს მას კარგათ მოწეობილი ამხანაგობებს?

3) მარგანეტი ჭიათურის გარდა სხვა ადგილებშიც არის
უცხოეთში, თუმცა ნაკლები ხარისხისა.

4) добыватель.

5) ხმა აქვს, ვისაც შარშან დამუშავებია 100.000 ფ.
ქვა, ვისაც 200.000 ფ., იმას 2 ხმა, ვისაც 400.000 ფ.,
იმას 3, ვისაც 800.000 ფ., იმას 4 და სხვ.

6) 160 ხმას გარდა არის კიდევ 32 ხმა, რომლებიც
ეკუთვნის მარგანეტის უცხოეთში გამზიდვლებს (შარშან 11
იყვნენ, 11-ვე არა ქართველები. წელს ერთ ქართველს,
პ. წულუკიძეს, გააქვს უფხოეთში შავი ქვა.

27... უკანასკნელი

ქალაქიდან მოვდივარ; ჭიათურის გზაზე უკანასკნელ
ვაგონში ვიჯექი. აქ იურთან თავს მარგანეტ მრეწვე-
ლები და მათი წარმომადგენლები.

ლანარაკი აქვთ, რასაკვირველია, შავი ქვის წარმოე-
ბაზე—ვაგონების დანაწილებაზე, „ჩრევაზე“, ძმ. ო — ზე
და სხ.

გაცხარებული დავობენ ტრანსვაალის და ჩინეთის
ამბებზე. „ბურები ადვილათ დასამარცხებელი არ არიან,
ამბობს ერთი: რაც იქნება, აწი იქნება“.

„იგერიის“ და „ეგელის“ ბოლემიკაზეც ჩამო-
ვარდა ლანარაკი...

ვაგონში სხვათა შორის ერთი ქართველი მწარმოე-
ბელია ბლომით ფულიანი, ეგელანი ხატვისტეპით
უბრძობის შას; „იჩით“ თორემ ისე არ მიმართავენ.

სხვა ვაგონებშიც შევიარე: აქ მუშებია, მეღუქნები,
ნოქრები... სულ ქართველობაა, უცხოელნი ძლიერ ცოტა.
არაინ იმერლები, გურულები, მეგრელები, აჭარლები,
ქართლ-კახელებს წამლათაც ვერსად ვხვდავ.

საიდან სად მოდიან! ესენი არიან ერის უფრო ენერ-
გიული, გამბედავი, აქტიური ელემენტები. ცხოვრება
მათით მიდის წინ. ლანარაკში და მოძრაობაში შეატყობ
უცებ ეგელას ძაღს, გამჭრიახობას, ენერჯას.

28....

ვიყავი ჭიათურაში, რომელიც ოთხ ვერსზეა ჭია-
თურაზე. აქაც მარგანეტის საწეობები კეთდება; აქაც
დიდი მოძრაობა შეიქნება მალე.

იქ, სადაც წინეთ კაცის ხმასაც ძლივს გაიგონებდი,
ისმის მატარებლის ფერილი, სხვა-და-სხვა რჩული ხაღ-
ხის ლანარაკი, მარჯვნივ და მარცხნივ ადიან და ჩამო-
დიან ერთმანეთზე ცხენები და ურმები...

თვითონ ჭიათურა მხოლოდ საწეობია დღეს. შავი
ქვა გამოაქვთ ახლო-მახლო სოფლებიდან 7—8 ვერსზე.

S—II.

(დასასრული იქნება)

საქართველოს სამრეწლო სკოლების მასწავლებლე- ბის საზაფხულო კურსები.

როგორც უკვე მოხსენებული იყო ამ წლის 7-ი
ივნისიდან ტფილისში გაიმართა სამრეწლო სკოლების
მასწავლებლების საზაფხულო კურსები; ამ კურსებზე
მწვეულნი იყვნენ საქმზარხოსონ ოთხი ეზარქია: ქართლ-
კახეთისა, იმერეთისა, გურია-სამეგრელოსი და სოხუმი-
სა. ეგელა მასწავლებლები დაბინავებული იყვნენ ადგი-
ლობრივ სასულიერო სემინარიის შენობაში, სადაც ეძ-
ლეოდით მათ სახაზინო ლოგინი და საჭმელ-სასმელი.
ხშირათ მასწავლებლები ავით ხდებოდენ, რადგა-
ნაც სიტყვებში თავისუფლობას მოკლებული იყვნენ.

დიდის რვა საათიდან ნამუადღევის 1-ს საათამდის
კურსების ისმუქტორის ნ. ტატიშვილის და სემინარიის

მასწავლებლის ი. ფერაძის ხელმძღვანელობით მასწავლებლები მორიგადად აძღვედნენ გაკვეთილებს ოთხსაგანში: სამართა რჯული, ქართული ენა, რუსული ენა და აზგარიში. ამ გაკვეთილების შემდეგ იყო ქართულ-რუსული საეკლესიო კლასები; სადამის დანიშნული იყო გაკვეთილების კრიტიკულად გაჩვენა; გაკვეთილებს აჩვენებდნენ იგივე ბ. ბ. ტატიშვილი და ი. ფერაძე მასწავლებლების თანამხმარეობით.

თვითთველ საგანს თავის განსაზღვრული მეტოდი ჰქონდა მინიჭებული და მასწავლებლებიც იმ ნაჩვენებ მეტოდით აძღვედნენ გაკვეთილებს.

მასწავლებლები აძღვედნენ გაკვეთილებს სემინარიის სამაგალითო სკოლაში, სადაც სამი განყოფილება არის და ბავშვებზე უკეთეს დამზადებული და წერა-კითხვის მცოდნეები არიან. ძალიან სასურველი იყო ისეთი ახალი მასწავლებელი ბავშვები მოეყვანათ, რომელთაც ჯერ სკოლაში არც კი უფიქროს და ახა-ბანა არ იციან; გამოცდილ მასწავლებლებს უნდა მიეტოვებინათ მათთვის ზიარველ დაწესებულებაში გაკვეთილი, რომელიც უფრო სასარგებლო იქნებოდა, რადგანაც სკოლებში მასწავლებლებს, უმეტეს ნაწილს, წერა-კითხვის უცოდინარ ბავშვებთან აქვთ საქმე. ბევრი ისეთი ახალი გამოუცდილი მასწავლებლები იყვნენ კურსებზე, განსაკუთრებით ქართულ-კახეთის ეპარქიიდან, რომ სრული დაწესებულები ვარ—ძალიან გაუჭირდებოდათ მეცადინეობა იმ ბავშვებთან, რომელთაც ახა-ბანა არ იციან.

როგორც კარგი გაკვეთილების სტატისტიკიდან ჩანს უკეთეს უკეთ და ცოცხლად გაკვეთილები მისცეს იმერეთის და გურია-სამეგრელოს ეპარქიის მასწავლებლებს; ეს იმითი აიხსნება, რომ ამ ეპარქიებს უკეთესი დამზადებული მასწავლებლები ჰყავს სხვა ეპარქიებთან შედარებით. სოხუმის ეპარქიის მასწავლებლებს თუმცა ეტეობოდათ სიცოცხლე და გამოცდილება, მაგრამ ხელს უშლიდა მათ ქართული ენის უცოდინარობა;

ქართულ-კახეთის ეპარქიიდან ბევრი მასწავლებლები იყვნენ მოწვეულნი, მაგრამ სამწუხაროთ მათ გაკვეთილებს ხელდასრულებს და სიცოცხლე არ ემჩნეოდათ, ამის მიზეზით ის უნდა ჩაითვალოს, რომ იმათში უმეტესად ახალ-გურს დამთავრებული და გამოუცდილი მასწავლებლები ერივნ და, ამას გარდა, იმათში იყვნენ ბერძნები, ოსები და ზოგი რუსებიც, რომელთაც ქართული ენა სრულიად არ იცოდნენ, ამიტომ დედა ენის დაუმარტობათ ძალიან ეძინებოდათ გაკვეთილების მიცემა ქართულ მასწავლებლებთან. უკეთესი უფრო სასარგებლო კურსებზე იყო ლექციები სასკოლო გიგეანაზე, ლექტორი ბიანდებოდა ბ. ექიმო ზრზარაგვი, რომელიც მადლობის დიხსია ჩინებული ლექციის წავითხვისთვის; აგრეთვე არ შემოიძლია არავითგა, რომ ქართული კლასის შესწავლას მეტათ ბეჭითათ და ერთგულათ ეკიდებოდა მგალობელი ბ. მაქსიმე შარაძე, — გარდა სავადებულ გაკვეთილებისა ბ. შარაძე არც სხვა დროს ერიდებოდა შრომას, ოდნავ კი მასწავლებლებს ესარგებლათ.

ძალიან კარგს იხებებს, ვისიც ჯერ არს ამ სკოლაში ხელა კურსების სტატისტიკურ ცნობების, შედეგს და აზგარიშებს რომელიმე კახეთის სასკოლოებით გააჩნობდნენ დაწვრილებით მკითხველ-საზოგადოებას.

სამწუხაროთ უნდა ჩაითვალოს, რომ მასწავლებლებმა ვერ ნახეს ტფილისის მუზეუმი, სიძველე და ნაშთები.

სასაფხულო კურსები დასრულდა ნ-ს იფლისს; იმ დღეს კლასში გამოსცადეს მასწავლებლები; კამარდის შემდეგ ზარაკლისი გადასცადეს და ბ. ტატიშვილმა და სემინარიის მოძღვარმა მ. ი. ლაბაძემ შესაფერისი სიტყვები წარმოთქვეს.

ერთი კურსის ტოვანი.

ივანეს ოჯახის თავმჯდომარე

მოთხრობა

სოფლის ცხოვრებიდან

I



არიამობისთვის ღამე იყო. მტკვრის პირას, მალლობ ადგილზე გაშენებული სოფელს X-სს ბადრი მთვარე დაჰკაშკაშებდა და მის სახლებს, კალო-საბძლებს და ოქროსფერ ბჭებს მქრალ სინათლეს აფრქვედა. უთვალავ მოციმციმე ვარსკვლავებით მოჭვდილი ცა მოცინარი სახით ჩამოცქეროდა ღრმათ ჩაძინებულ სოფელს და მის არე-მარეს. ბუნება დამშვიდებულიყო, დაწყნარებულიყო; მისი ღონიერი მაჯის ცემა ახლა დაღუმებულიყო. თვით მედიდურათ მომდინარე მტკვარსაც კი შეეწყვიტა თავისი ჩვეულებრივი ბუტბუტი და ახლა ერთ ხმაზე შებმული, განუწყვეტლივი შრიალით თითქოს წყნარ ნანას ეუბნებოდა მიძინებულ ბუნებას. სოფელში იღუმალი სიჩუმე გამეფებულიყო. მხოლოთ გაღმა მხარეს, ტრიალ მინდორზე გაჭიმულ რკინის ლიანდაგზე დრო-გამოშვებით აივლიდა ან ჩაივლიდა გაბრაზებული ორთქლ-მავალი, რომელიც თავისი ქშინვით, ოხვრით და გოდებით ბატარა ხნობით დაუფრთხობდა ხოლმე ბუნებას ტკბილ ძილს. ამ მანქანის ქშინვა გამოღმითაც კარგს არას უქადადა მუშაობისაგან დაღალულ-დაწყვეტილ და ძალა-გამოცლილ სოფლებს, რომელთაც ახლა მოკრიალებულ კალოებზე ჩაძინებოდათ. ხანდა-ხან აქა-იქ სოფელში უცბათ გაისმოდა ძალღის ყვფა და ერთ წამს არღვევდა გაბატონებულ სიჩუმეს. სხვას ყველაფერს კი დასვენებისთვის მიეცა თავი იმიტომ, რომ ღლისით დაკარგული ძალა შეეკრიბა და მეორე დღეს ხელ-ახლა ამოძრავებულიყო, აფუსფუსებულიყო და ახმაურებულიყო.

ყველას ეძინა. ყველგან სანათი იყო ჩამქრალი, მხოლოდ ერთი სოფლის შუა-გულადგილას გაშენებული, მიწური სახლის პატარა ფანჯრიდან სინათლე გამოიქვირტებოდა და მთვარის შუქთან ამო ბრძოლაში იფანტებოდა, იკარგებოდა. სახლში ძველი ჭილობით და დაგლეჯილი ნაბლით დაფენილ ტახტზე სულთ-მობრძავი მოხუცი ივანე იწვა და მძიმეთ სუნთქავდა. ივანეს წელს ქვეით ფეხებზე დაგლეჯილი ფარაჯა ეფარა. თეთრი ბალნით შემოსილი გული გადაღვლოდა; თავით ქუქუციანი მუთაქა ედვა, რომლის ცალ-კუნჭულზე გამხმარი მქადის ნატეხი იდვა. მთლათ გაჭალარავებულ თავზე ქუქუციანივე ხელსახოცი ჰქონდა წაკრული; ბუხარსა და თახჩას შუა კედელზე შერჭობილ პტყელ ფიცარზე მდგომი „კრუჟკის“ სინათლე, მთვარის შუქთან ერთად შეზავებული, მოხუცის გამხმარ და გაყვითლებულ სახეს ეთამაშებოდა, ელამუნებოდა, მისი ღრმათ ჩაცვივნიული თვალეხი, წინ წადგმულ ხშირ წარბების ქვიშადან ძლივს-ლა გამოიციკირებოდნენ.

ივანეს ფეხით, ტახტის ბოლოს, თოთხმეტ-თხუთმეტი წლის შაქრო, ივანეს შვილი სამფეხა ხის სკამზე იჯდა და შეწუხებულ მამას თვალეხ-გაფაციცებული უცქეროდა. შაქროს დაგლეჯილი ჩოხა-ახალუხი ეცვა; თავზე ყვითლათ გახუნებული ნაბდის ქული ეხურ; კანქებზე დაგლეჯილი თეთრი პაქიქები ეცვა, რომლებიდანაც ალაგ-ალაგ მზეზე დამწვარი და გაშუშული კანი შავათ გამოიციკირებოდა. შაქრო ფეხ-შიშველი იყო.

— ახ, შვილო ილიკო, სად ვადიკარგე?! ნეტავი ერთი მომაკვრევირა, შვილო, შენთვის თვალი! .. დასუსტებული ხმით თქვა ივანემ და თანაც ისეთი ამოიოხრა, თითქო ქვეყნის ვარამი ამას აწევს გულზეო, შემდეგ შაქროსკენ ვადიხედა და თავის გამოშრეტილი თვალეხი მას მიაჩერა.

— შვილო, შაქრო?!.

— რა გინდა მამა?... წყნარი და ცოტა აკანკალეებული ხმით უპასუხა შაქრომ და ზეზე წამოდგა.

— მოდი, შვილო, მოდი შენ მაინც გითხრა ჩემი უკანასკნელი სიტყვა. ვკვდები... მე სიკვდილი არ ამცდება... აღბათ ასე მეწერა... ჰო, იცი, შვილო, კაცი თავის წერას ვერ წაუვა. რომ მოგვკვდე დედა შენთან დამასაფლავე. ვინძლო, შვილო, შენ ძმასავით სამშობლო ადგილი არ დატოვეო... შენ მიწა-წყალს და ჩემ საფლავს თავი არ დაანებო; არ დაივიწყო, შვილო, შენი დედ-მამა...

შაქრო, რომელსაც მამის პირველმა სიტყვებმავე აუკანკალეს გული, ამ სიტყვებმა უფრო-და-უფრო ააღვლია; თვალეხი ცრემლებით ევსებოდა, სული ყელში ებჯინებოდა. ბოლოს გაძლიერებული გრძობა შაქროს გულმა ვეღარ დაიტია; მან მამის

უკანასკნელ სიტყვასთან ერთად უცბათ იფეთქა და ეს გრძობა ცრემლების ნაკადულათ განდროშდა შაქროს ლოყებზე... ქვეითინებდა შაქრო ხმა-მადლა და თანაც ცრემლებს ხან ჩოხის სახელოთი და ხან ჩოხის კალთით იწმენდა.

— ნუ ტირი შვილო, უფრო დასუსტებული ხმათ ამშვიდებდა ივანე შაქროს, მაგრამ აღვლვებულ შაქროს მამისა აღარა ესმოდა-რა.

შაქრო კარგათ ჰხედავდა, რომ მას მთელ ქვეყანაზე ერთად ერთი მფარველი, მაცხოვრებელი და გულ შემატკივარი არსება უკვდებოდა ის ბუნდათ გრძობდა თავის მარტოობას და ოპლობას მამის სიკვდილს შემდეგ; ამ გრძობას ზედ ერაოდა მამისადმი სიყვარული; აი, ეს ერთად შეზავებული გრძობა იყო, რომლიც ახლა შაქროს ლოყებზე ცხარე ცრემლის ნაკადულათ იფრქვეოდა.

ივანე თუმცა ჯერ არ ემორჩილებოდა იმ აზრს, რომ მალე უნდა გამოსალმებოდა ამ წუთისოფელს, სიცოცხლის გაგრძელების ძლიერი სურვილი ეწინააღმდეგებოდა ამ დამორჩილებას— მაგრამ ახლა კი თან-და-თან წინააღმდეგში რწმუნდებოდა. ნამეტანი დაუძღურება და შაქროს ტირილი მას ნათლათ უმტკიცებდნენ, რომ ის მართლაც კვდებოდა! მართლაც შორდებოდა ამ ქვეყანას და რამდენათაც რწმუნდებოდა ამაში, იმდენათ მასში იღვიძებდა სიკვდილის ზარი. ერთით ივანეს თავი ენანებოდა; მას უნდოდა პატარა ხანი მაინც გაეგრძელებინა სიცოცხლე; მეორე მხრივ, შაქრო ებრალებოდა, რომელიც უნუგეშოთ, ობლათ უნდა დარჩენილიყო მის სიკვდილს შემდეგ. ამ გრძობებმა, ერთ რთულ გრძობათ შეერთებულმა, გამოუთქმელ მდგომარეობაში ჩააგდეს ივანე. ის ცდილობდა ეტირნა, ცრემლები ეღვარა, რომ ამითი მაინც შეეძლებოდა თავისი მდგომარეობა, მაგრამ ვერ ტიროდა; მას ცრემლები აღარ ემორჩილებოდნენ, არ ასველებდნენ მის ღრმათ-ჩაცვივნიულ და გამშრალ თვალეხს, რომლებიც ახლა უაზროთ შეცქეროდნენ მტირალ შაქროს.

— ვაიმე, მამა!.. უცბათ შესაზარი ხმით დაიყვირა შაქრომ და ტირილით გულში ჩაეკონამამას, ერთ წამს შაქროს ცხარე ცრემლი ივანეს თეთრი ბალნით შემოსილ გულს ბანდა. ამ დროს უეცრათ შაქროს თავში გაუფლავა ერთი ბებერი დედა-კაცის სიტყვებმა: „შვილო, უზიარებელი კი არ მოჰკლა, ე მამაშენიო“. და შაქრო თოფის ტყვიასავით გამოვარდა კარში მღვდლის დასაძახებლათ,

ივანემ ნელ-ნელა გადახედა კარებს, საიდანაც შაქრო გავარდა. უცბათ მისი სახე შეიცვალა; ისეც პატარა თვალეხი უფრო დაუპატარავდნენ; თეთრ-უღვამებ ქვეშ ტუჩებზე თითქოს ღიმილმა გადაურბინა,

— თეკლე, შენა?... რა ხელს მიქნევ?... წამოვიდე?... წამ... ძლივსლა ამოილულულა ივანემ და

ნელ-ნელა დახუჭა სამუდამოთ თვალები. მალე მღვდელი და შაქრო მოცვიდნენ, მაგრამ ივანეს გატაცებული სხეული და ნახეს ფარაჯის ქვეშ ტახტზე გაჭიმული,

II

ასეთ სისაწყლემში და სილატაკეში სულ ამომძვრალი მოხუცი ივანე ახალ-გაზღობისას ყოჩად და სიცოცხლით სავსე ვაჟკაცს, ვანოს, წარმოადგენდა. ის თვრამეტ-ცხრამეტი წლისა იქნებოდა, როდესაც დედ-მამა დაეხოცა და თავის უფროს, დაცოლშვილიანებულ ძმას, მიხას, მიეკედლა. ძმებს, გვართ კოკოშვილებს, თუმცა ცოტა მამული ჰქონდათ მამისაგან დარჩენილი, მაგრამ ისინი ყველაფერში ერთმანეთს ეხმარებოდნენ, ორივე ერთგულათ ეწეოდნენ ცხოვრების უღელს და ერთმანეთი ძალიან უყვარდათ; ამიტომაც სახლში დოვლათი უტრიალებდათ.

ვანო მხიარული და კეთილი გულის ვაჟ-კაცი იყო; მას პირზე ღიმილი არა შორდებოდა; სოფელში ის ყველას უყვარდა. საცა კი სიმღერა, ან თამაში გაიმართებოდა, იქ პირველი სულ მუდამ ვანო იყო. კვირა-უქმით, მთვარიან ღამეში, როცა კი სოფელები რომელსამე სახლთან ერთათ მოიყრიდნენ თავს, თითქოს მიწიდან ამომძვრაო, გაჩნდებოდა ხოლმე იქ ვანო. მისი მისვლა ყველას გაახარებდა, ყველას პირზე ღიმილს გადუტარებდა.

— აბა, ვანო, აბა ერთი ცანგალა და გოგონა, დასძახებდნენ ხოლმე ვანოს. ვანოც ჩადგებოდა თავის ტოლებში და პატარა ხანს უკან მისი წკრიპა ხმა გააპობდა ჰაერს; მას მიჰყვებოდნენ სხვა ხმებიც; სიმღერას დაერთოდა ხოლმე მწყობრი ტაში და გაჩაღდებოდა „ცანგალა და გოგონა“. ვანოს ტკბილი ხმა და მხიარული სახე ყველას გულის სიღრმემდის წვდებოდა და ძალა უნებურათ სათამაშოთ იწვევდა. ამ წუთებში თითოეულ იქ მყოფს ვადერეცხებოდა გულიდან დარდი; თითოეული მათგანი იფიწყებდა თავის ყოველნაირ გაჭირვებას და მთელი თავისი არსებით საზოგადო მხიარულების ნიაღვარს მიეცემოდა. ვანოს მაყრული ხომ სოფელში გათქმული იყო.

ვანო ხუმარაც იყო. ბევრჯელ მის კვიმატ და მოსწრებულ სიტყვას გულიანათ გადუხარხარებია გლეხები. ხუმრობასთან ერთათ ვანო სიმხნევით იყო დაჯილდოვებული. მას ნამგალში მეტოქე არავინ ჰყავდა. მუშები აღტაცებით უცქეროდნენ ხოლმე გაშმაგებულ ვანოს, როცა ის ნამგლით ხელში, „ჰოლოუნათი“ დატრიალდებოდა და უწყალოთ ბღღენიდა ყანას.

ბოლოს თვითონ ვანოსაც შერთეს ცოლი, თექლე. ახლა მან უფრო მოუმატა შრომას; ძმებმა ახლა უფრო ტკბილათ იწყეს ცხოვრება. მაგრამ ასეთმა მათმა მედნიერებამ დიდხანს ვერ გაატანა.

მალე მათმა ცხოვრების ჩარხმა უკუღმა დაიწყო ტრიალი. რძლები, ჯერ ერთმანეთს რაღაც მოკრძალებით ეპყრობოდნენ, მაგრამ, როცა გაიცნეს და კარგა დაუახლოვდნენ ერთმანეთს, მათ შორის რაღაც უკმაყოფილება ჩამოვარდა; ხშირათ ჩხუბი ჰქონდათ საქმიანობაზე — „შენ ქალბატონივითა ზიხარ და მე კი წყლებზე ფეხს ვიდგამო“ — ეუბნებოდნენ ერთმანეთს. რამდენი ხანიც გადიოდა იმდენათ ეს უკმაყოფილება იზრდებოდა და ნელ-ნელა სიძულვილით იქცეოდა; რძლების სიძულვილი უფრო გამწვავეს სოფლის მექორე დედა-კაცებმა, რომლებმაც, გააგეს თუ არა მათი ამნაირი ერთმანეთთან დამოკიდებულება, ქორი ობობას ქსელსავით გააბ-გამოაბეს. რძლების სიძულვილმა ძმებს შუაგ გამოიწვია უსიამოვნობა. ცოლები მათ ღამ-ღამობით ჩურჩულით და ენის ტრიალით მოსვენებას არ აძლევდნენ. ძმებმა, ბევრჯელ გაბერტყეს თავიანთი ცოლები, მაგრამ ეს კიდევ უფრო-და-უფრო ამწვავებდა რძლების სიძულვილს; ისინი ამ ცემა-ტყეპას მოთმინებით იტანდნენ, რადგანაც კარგათ იცოდნენ თავიანთი მომხიბლავი ენის ძალა. მტრის ენასაც რასაკვირველია არ ეძინა; ის ვანოს ეუბნებოდა: — ბიჭო, ოჯახს შენ აცხოვრებ, შენ ძმას შენ რომ არა ჰყავდე შიმშილით მოკვდე; დაანებე თავი, შენ მარტო უფრო კარგათ იცხოვრებო“. ვანოს ძმას, მიხასაც, ამასვე ეუბნებოდნენ. ცოლების და მტრის ენამ მალე გააცვივა ძმებს შუა სიყვარული; ისინი ერთმანეთს რიგიანათ ხმას აღარა სცემდნენ. ერთხელ ძმებს, ცოლების ნალაპარაკევით გულ-მოსულებს, ჩხუბიც მოუვიდათ, საცემრათაც კი იწიეს ერთმანეთზე. ამას შემდეგ ერთათ ვეღარ მოთავსდნენ და მალე გაიყარნენ. ყველაფერი, რაც რამ ებადათ, შუა გაიყვეს. ვანომ გაიკეთა ცალკე პატარა მიწური სახლი და დაიწყო მარტო ცხოვრება.

ვანოს პირველათვე გაუჭირდა ცხოვრება. ის უღელი, რომელსაც წინეთ ძმასთან ერთათ ეწეოდა, ახლა მარტოკას უნდა ეწია; ახლა მას უნდა გაეორკეცებინა ის შრომა, რომელსაც წინეთ ძმასთან ერთათ იჩენდა. ვანოც ასე იქცეოდა. იმაზე აღრე არავინ მიდიოდა სამუშაოზე და იმაზე გვიან არავინ ბრუნდებოდა შინ; მაგრამ მისი პატარა მამული მაინც ვერ აკმაყოფილებდა ოჯახის ყველანაირ მოთხოვნებს; მისი ოჯახი მაინც უკან-უკან მიდიოდა, ცხოვრების დოვლათი მაინც ნელ-ნელა ეკარგებოდა. ამასთანავე ვანო დაწვრილშვილდა, ეყოლა ორი ვაჟი: ილიკო და შაქრო და ერთიც ქალი, ელენე. ვანომ ცხოვრებით უკან დაიწია; ღარიბთა რიცხვში ჩაეწერა. — „ახ! ძან დავეციოთ, ძან!... ბევრჯელ გულჩათუთქული, ნაღვლიანათ იტყოდა ხოლმე ვანო“ — რა ვქნა მარტოხელმა კაცმა, რომელ ერთს გავუძლვე? აქ ვანო თითებზე ჩამოითვლიდა ხოლმე თავის უმთავრეს

მოთხოვნებს, — „მერე საიდან?.. მამული იმდენს არ მძღვეს, რომ კუჭი გავიძლო“. თითო ფენის გადაბრუნება, ან ავით გახდომა, ან მოუსაველობა, ან სალოცავით წასვლა და ბევრი კიდევ სხვა ვალათ აწვებოდა კისერზე, სხვა რა გზა ჰქონდა, რომ ვალი არ აეღო, ის ასეც იქცეოდა. გაუჭირდებოდა თუ არა ფული, თავ-ჩაღუნული, ჯოხით ილღიაში, გაემგზავრებოდა ერთი გასუქებული გლეხისაკენ, რომელიც, დიდ ღიჭინსა და ხვეწნას შემდეგ, მოწყალებას მოიღებდა და ასესხებდა ფულს ვანოს. რამდენიც ხანი გადიოდა, იმდენათ უფრო იფლობოდა ვანო ვალში. რომელიც სხვა მოთხოვნებსაგან ერთათ მძიმე უღლათ აწვებოდა მას კისერზე. მალე ეს ვალი ისე გაიზარდა, რომ ვანამ მისი სარგებლის ხდა ველარ შეიძლო. მას ახვა გზა აღარა ჰქონდა, თავისი მამულის მომეტებული ნაწილი გირაოთ უნდა მიეცა მოვალესათვის, ვანოც ასე მოიქცა.

ასეთმა გაჭირვებამ, ნამეტნავმა ჯაფამ და ჯავრებმა ძირიანათ გამოცვალეს ვანო. ვილა იცნობდა ახლა მუდამ დაფიქრებულ, დაღვრემილ და წელში მოხრილ ივანეში, მხიარულ, მუდამ მომღიმარ და ყოჩად ვანოს? მისთვის აღარც სიმღერა, აღარც თამაში არ არსებობდნენ. ის ხალხშიაც კი აღარ გადიოდა და თუ ამას საჭიროება მოითხოვდა, მაშინ, ხუმრობის მაგივრათ თავ-ჩაღუნული, დაღვრემილი სახით, გულ-ხელ დაკრეფილი დაჯდებოდა ხოლმე ცალკე. ვანო უდროვოთ დაბერდა, თმაში და წვერში თეთრი გამოერია; ვანოს მაგივრათ ეხლა ივანეს ეძახდნენ.

ივანეს უფროსი შვილი წამოეზარდა და წამოეშველა: თუმცა ახლა ორივე ერთგულათ იბრძოდნენ არსებობისთვის, მაგრამ სიღარიბეს მაინც ვერ აღწევდნენ თავს. ცხოვრების წყაროსოფელში ნელ-ნელა უშრებოდათ. მათი მამულის მომეტებული ნაწილი მოგირავნეს ექირა, ფულს კი სოფელში ვერა შოულობდნენ. ასეთმა გარემოებამ ივანეს და ილიკოს ცხოვრების სხვანაირი სახსარი მოაძებნინა. მეტი ღონე არ იყო! ილიკოს სოფლისთვის თავი უნდა დაენებებინა და სხვაგან წასულიყო ფულის საშოვნელათ, „ქალაქ ქვეითი“ რკინის გზა ყველაფერს ჯობდა. ივანეს ძალიან ეძნელებოდა შვილის თავიდან მოშორება და უცხო ქვეყანაში გაგზავნა, მაგრამ... „გაჭირება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო“. ერთ საღამოს მან უთხრა ილიკოს: „შვილო, შენც „ქალაქს ქვეით“ უნდა წახვიდე სამუშაოთ, საცა ჩვენებური ბიჭები მიდიან: ფულებს იშოვნენ და ეგები გვეშველოს რამე, თორემ ჩვენ ასე ცხოვრება აღარ შეგვიძლია“.

ილიკო ჯერ ყოყმანობდა, მაგრამ მეტი გზა არა ჰქონდა, უნდა დაყბულებულ-

ლიყო. მეორე დღეს, მამლის ყვილით სას, ილიკო, სხვა ახალგაზდა ბიჭებთან ერთად, მათი მათარა ჩაცმული და მხარზე ხურჯინ გადაკიდებული სადგურისაკენ მიემშურებოდა, „ქალაქ ქვეით“ წასასვლელათ.

(შემდეგი იქნება)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მის თანდასწრებით მიმდინარე წლის 24 ივლისს, დილის 12 საათზე, დანიშნულია ვაჭრობა შემდეგ სავაჭრო: საჭიროა ალექსანდროვის ბაღის დობის განახლება (ქვის კედლების და საძირკვების შეკეთება), კაფანების დადგმა, რკინის ხრახნილების რკინისავე უღლებით დაკავშირება, მთავრების შედგენა — სულ 3000 მანეთის საქმი.

ვისაც სურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, შეუძლია განხილოს დაწვრილებითი პირობები გამგეობის აღმასწავლებელ განყოფილებაში დილის 9 საათიდან ხაშუა-დევის 3 საათამდე (1—1)

ქალაქის თვით-მმართველობა

ამით აცხადებს, რომ საგარეო სსლი ბორჯომში, რომელიც ეკუთვნის ახსალდომოს და სხვა ტფილისის ქალაქის საკუთრებას იძლევა ქირით დაკლებულ ფასათ. სსლი ორ საერთოაინა, ზემო საერთო-ში 4 ოთანი და ქვემოთ 5. პირობების შეტყობა შეიძლება ქალაქის სამმართველოს შეთანხმებულ განყოფილებაში, ყოველ დღე დილის 8 საათიდან შუადღის 1-ლ საათამდე. (3—3).

თფილისის ქალაქის გამგეობა

ამით საყოველთაოთ აცხადებს, რომ თავის თანდასწრებით ივლისის 20 დილის 12 საათზე მოხდება ახალი ვაჭრობა საქალაქო მამულის იჯარით გასაცემათ, იმის მაგიერ, რომელიც წინეთ არ შედგა, შეშვიდე უჩასტკაში, ავლანარში. ზომას მიწისა 23 საყენა, სადაც საკუთრათ გაჯი ითხრება. იჯარით ადების მსურველთ შეუძლიათ პირობების შეტყობა ქალაქის სამმართველოს შეთანხმებულ განყოფილებაში, ყოველ დღე დილის 8 საათიდან შუადღის 12 საათამდე. (3—3)

შინაარსი: ნეკროლოგი გ. წულუკიძისა. — მომავალი კრება ქუთაისში იკასი — სხვა-და-სხვა ამბები. — „კვალი“-ს კორესპონდენცია. — ჩინეთის ამბები. — ახალი გზა ივ. გომაროთლისა. — მოფლიო გამოფენა პარუში ლ. დ-სა. — კიათურა S—n-სა. — საქართველოს სამრევლო სკოლების მასწავლებლების საზაფხულო კურსები ერთი კურსისათვის. — ივანეს ოჯახის თავდადასავალი და განცხადებები.

რედაქტორ-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.